გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№37 (932) 14 - 15 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლევან ვასაძის შეთქმულება ევროპული არჩევანის სახელით

გვ. 5

ივანიშვილს მარგველაშვილის გაპრეზიდენტება რაინდმა ურჩია?

ოქრუაშვილ-მერაბიშვილის თაღლითური სქემა, რომელსაც „ოცნება“ აგრძელებს

გვ. 6-7

სკანდალური ინჭერვიუ ბიზნესმენ ირაკლი იაშვილთან

გასალამურებული ნაციონალები ანუ მიდი-მოადე „ოცნებურად“

გვ. 3

ვალერი ხაბურძანია და ნიკა ლალიაშვილი პარტიას ქმნიან?

გვ. 4

განათლების მინისტრი მოქმედი მთავრობის დისკრედიტაციაშია ეჭვმიტანილი

არასამთავრობოებს თამარ სანიკიძესთან პრეტენზიები აქვთ

გვ. 8

თიბისი ბანკი TBC BANK

ფულადი გზავნილები მეტი არჩევანი და საჩუქრები მთელი წელი!

„დუშეთის გამგეობამ ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა, მინდა, ამის შესახებ მთელმა საქართველომ შეიტყოს“

36 წლის წინ, ქართველებმა დედაენა კრემლის კლანჭებისგან იხსნეს!

დღეს 14 აპრილია — დედაენის დღე.

ზუსტად 36 წლის წინ, 14 აპრილს საქართველოს დედაქალაქი აზვირთებული იყო — სტუდენტები, ძველგაზრდები და, საერთოდ, ჭეშმარიტი მამულიშვილები ქუჩაში მშობლიური ენის დასაცავად გამოვიდნენ.

ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა კონსტიტუციის 78-ე მუხლში ცვლილების შეტანას და, შესაბამისად, ქართულისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმებას აპირებდა. საკავშირო კონსტიტუციაში შეტანილი ეს ცვლილება საქართველოს უმაღლეს საბჭოს 1978 წლის 14 აპრილს უნდა დაემტკიცებინა...

ხალხი ქუჩაში სპონტანურად, ლიდერის გარეშე გამოვიდა...

ხმა აკაკი ბაქრაძემ, მარიკა ლორთქიფანიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა და სხვა ჭეშმარიტმა მამულიშვილებმაც ამოიღეს...

მერე, წლები რომ გავა და წითელი იმპერია დაიმსხვრევა, ისტორიკოსები იტყვიან, რომ 14 აპრილი საბჭოთა კავშირში, პრაქტიკულად, პირველი მასობრივი მშვიდობიანი დემონსტრაცია იყო, რომელმაც მიზანს უსისხლოდ მიაღწია. მეტიც, ისტორიკოსები არც იმის თქმას ერიდებიან, რომ ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას, რომელიც საქართველოში მე-20 საუკუნის 80-იან წლებში აგორდა, საძირკველი სწორედ 1978 წლის 14-მა აპრილმა ჩაუყარა...

მაშინ ქართული ენა გადარჩა — საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ქართულ სახელმწიფო ენას სტატუსი არ მოუხსნა...

ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილება ედუარდ შევარდნაძის მხრიდან ერთგვარი გმირობა იყო...

შესაძლოა, ასეცაა...

1978 წლის 14 აპრილის მოვლენებიდან 36 წელი გავიდა...

ქართული ენა, პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით, ისევ განსაცდელშია...

საქართველოს დედაქალაქის სანახებთან ოკუპანტი რუსეთის ჯარი დგას...

ეროვნული მოძრაობა, ალბათ, ფენიქსივით აღსდგება!..

არასოდეს დაგვეკარგოს დედაენა!..

გიორგი გიორგაძე

პოლიციის დღე 6 მაისის ნაცვლად 30 მაისს აღინიშნება

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა უკვე გამოსცა ბრძანებულება „პოლიციელის დღის დაწესების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 აპრილის №263 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. აღნიშნული განკარგულების პროექტი განსახილველად და მოწონების მიზნით მთავრობის სხდომაზე გავა.

გარდა ამისა, სხდომაზე განიხილავენ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, პოლიციის დღე განისაზღვრება სწორედ სამინისტროს დებულებით.

„ინტერპრესნიუსი“

არა კოლაბორაციონიზმს თუ არა ნაციონალურ მოძრაობას

გიორგი იაშვილი

მთავრობის კანცელარიასთან აქცია „არა კოლაბორაციონიზმს“ გაიმართა. ვიდრე უშუალოდ აქციაზე მოგახსენებდეთ, იმ კლიპზე უნდა ვთქვა, რომლის მეშვეობითაც მოსახლეობას აქციაზე მისვლისკენ მოუწოდეს. კლიპში მრავლადაა საზოგადოებისთვის ცნობილი და მისაღები სახე და სახელი, მათი მოწოდებით იწყება კლიპი, შემდეგ კი გუგულის კვერცხებივით გვაპარებენ ნიკა რურუას, გრიგოლ ვაშაძესა და, ზოგადად, ნაციონალური მოძრაობის სახეებს. ვერ გეტყვით, ნაციონალურ მოძრაობაში რატომ გადაწყვიტეს, რომ ვაშაძე და რურუა მოსახლეობაში აგრესიას არ იწვევენ, მაგრამ ფაქტია, ასე ჰგონიათ და სწორედ ამიტომ, გუშინდელ აქციაზე რეალურად არ იყო ადამიანთა ის რაოდენობა, რომელიც კოლაბორაციონიზმს არას ეტყოდა. ეს იმიტომ, რომ აქცია ნაციონალურ მოძრაობასთან გაიგივდა და, რეალურად, საპარლამენტო ოპოზიციისთვის იყო საზომი, თუ რამდენი ხალხი გავა მის დაძახილზე.

დაძახება კი ძალიან უნდათ, იმდენად უნდათ, თავი ვერ შეიკავეს და პატარ-პატარა პოლიტიკური განცხადებების კეთება გუშინაც დააპირს, თუმცა ამას არც დაინტერესება მოჰყოლია და რამდენიმე ადგილზე სტვენაც გაისმა.

დრო კი არ ითმენს, აშკარად არ ითმენს, რადგან არჩევნები კარსაა მომდგარი და ამ არჩევნებშიც თუ დამარცხდნენ (და დიდი ალბათობით, დამარცხდებიან), ნაციონალური მოძრაობის წევრებს ის ბერკეტებიც ერთმევათ, რეგიონები რომ ჰქვია და პოლიტიკური რუკიდან ისედაც თითქმის გამქრალ პარტიას საერთოდ გადაშენება ემუქრება.

აქციაზე მოთხოვნებიც გაისმა და საბოლოოდ, ხუთპუნქტიანი გეგმაც წარადგინეს: 1. ხელისუფლებამ აამოქმედოს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 309-ე, 301-ე, 311-ე, 315-ე, 317-ე და 318-ე მუხლები, აამოქმედოს საქართველოს ორგანული კანონი საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერების და მათი აკრძალვის შესახებ და აღკვეთოს აგრესორთან თანამშრომლობაში მყოფი ორგანიზაციების საქმიანობა. 2. შემუშავდეს შესაბამისი ნორმატიული ბაზა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის, რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის და რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული ეთნოწმენდის საჯარო უარყოფაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. 3. აიკრძალოს აგრესორი და ოკუპანტი ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკის საჯარო გამოყენება. 4. კონტროლზე იქნას აყვანილი საქართველოს მოქალაქეთათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი. 5. აიკრძალოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო სატელევიზიო არხების მაუწყებლობა.

ამ მუხლებიდან ყველაზე საინტერესო მეხუთე მგონია. იმის ფონზე, რომ ინტერნეტით რასაც გინდა, როცა გინდა და როგორც გინდა, ისე ნახავ, აკრძალვა კი რუსულ საინფორმაციოებს უფრო „გააგემრიელებს“ — ამონარიდები ამ საინფორმაციოებიდან სოციალურ ქსელებს წალეკავს და შიგადაშიგ, არც „მოწონებების“ ნაკლებობა ექნება. შესაბამისად, ეს აკრძალვა სიკეთეს ალბათ არ მოიტანს.

რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, მეეჭვება, ხელისუფლებამ რომელიმე მათგანი გაითვალისწინოს, რადგან ვიმეორებ: გუშინდელი აქცია ნაციონალებთან იყო ასოცირებული და ვისაც ამის არ სჯერა, გამომსვლელებსა და ლიდერებს თვალი გადაავლოს.

არანაკლებ საინტერესო იყო აქციის შემდეგ გამართული კონცერტი, რომელიც თურმე, ასამდე არასამთავრობო ორგანიზაციის თაოსნობით მომზადდა. სიმართლე გითხრათ, ასი არასამთავრობოს ერთად შეყრა და ერთ აზრზე მოყვანა არ უნდა იყოს იოლი, თუ მათ ერთი პატრონი არ ჰყავთ და მოქმედების ერთი გეგმა არ აქვთ, მაგრამ ისე ჩანს, გეგმაცა და ხაზიც ერთია და ეს არასამთავრობოები ერთი კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს ატარებენ. კონცერტზე ნაცლიდერები ამიტომ იყვნენ უხასიათოდ — ხალხმა არ დაუჯერა, ხალხი არ გაჰყვა და იმის თქმა, რომ კანცელარიასთან ადამიანთა სასურველი რაოდენობა დაფიქსირდა, სისულელე იქნება. აქცია „არა კოლაბორაციონიზმს“ დაემსგავსა „არა ნაციონალურ მოძრაობას“ და სწორედ ეს აქცია იქნება იმის მანიშნებელი, რომ ქუჩაში ხალხის დაძახება და ახალი მაიდნის მოწყობა არ გამოუვათ. არადა, დრო აღარ ითმენს, ნაციონალებს ბოლო პლატფორმა ეცლებათ და პოლიტიკური რუკიდანაც ქრებიან.

გასალამურებული ნაციონალები ანუ მიდი-მოადე „ოცნებურად“

გიორგი იაშვილი

არჩილ სულაკაურის ზღაპარი „სალამურას თავგადასავალი“ ძალიან ჰგავს დღევანდელ პოლიტიკას. უფრო ზუსტად, სალამურას ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები ჰგვანან და ახლავე გეტყვით, რატომ: ჯერ ერთი, ისინი აშკარად ფერად სიზმრებს ხედავენ და სჯერათ, რომ ის, რაც 9 წლის განმავლობაში აკეთეს, ხალხს წელიწადნახევარში უნდა დავიწყებოდა; მეორეც ის, რომ მათ დანახვაზე ყველა საცემრად იწევს და ეს ძალიან ჰგავს „სალამურას თავგადასავლის“ გმირ მოკრივე მიდი-მოადეს. ისე, მეეჭვება, ჰარი პოტერის ეპოქაში, თანამედროვე ბავშვებს მშობლები „სალამურას თავგადასავალს“ უკითხავდნენ და, შესაბამისად, „სალამურა“ მოდური აღარ არის.

სამაგიეროდ, სალამურია მოდაში და ყველა იმ ხმაზე აკვნესებს, რომელზეც სურს. აშკარაა, ნაციონალები არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სალამურს კიდევ რამდენიმე ნახვრეტს დაუმატებენ, რომ მათმა დაკრულმა ვიღაცები უფრო გააღიზიანოს და მერე ევროპელებსა თუ ამერიკელებს შესჩივლონ, წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების უფლებას არ გვაძლევენო.

ნაციონალური მოძრაობის წევრებს არ სურთ, მათმა შეხვედრებმა მშვიდ გარემოში ჩაიაროს და ისეთ რეგიონებსა თუ რაიონებს არჩევენ შეხვედრებისთვის, სადაც, მინიმუმ, კვერცხებს ესვრიან. ისე, ნაციონალებისთვის კვერცხების სროლა თითქოს სიმბოლურია, მაგრამ ამაზე სხვა დროს. ახლა, რაც შეეხება უშუალოდ დაგეგმილ აქციებსა და ღია დაპირისპირებას.

ყოველი დღის ბოლოს ნაციონალური მოძრაობის წევრები არ მალავენ, სად და როგორ აპირებენ მეორე დღის გატარებასა თუ ჩატარებას. შესაბამისად, მათზე განაწყენებული ადამიანები „ლატოკ-ლატოკ“ ყიდულობენ კვერცხს, ცოცხს და მასპინძლობისთვის ემზადებიან. ამას წინათ, იმ ავტომობილის სალონში მომიხდა შემთხვევით შეხედვა, რომლითაც გიგი უგულავა გადაადგილდება და რამდენიმე პიჯაკი ეკიდა. ეს კი ნიშნავს, რომ გიგი მზადაა, ტანსაცმელი დაისვაროს, მერე ახალი ჩაიცვას და ისევ დაისვაროს, სანაცვლოდ კი სათქმელი ჰქონდეს. რეალურად, ნაციონალებისთვის ნასროლი და აცილებული კვერცხი ამომრჩეველთა უმრავლესობის სანერვიულოა, რადგან სამართლიანობის აღდგენას დანატრებული ერი ასე ცდილობს გულის მოფხანას, თუმცა, ჯერჯერობით, ეს ის არ არის, რაც სურთ.

აშკარად თვალშისაცემია, რომ ნაციონალები აქცენტს სამეგრელოსა და ნაცუმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე აკეთებენ და იქ მიღებული ხმებით სურთ ფონს გასვლა. ნაციონალებმა კახეთსაც მოუსინჯეს კბილი და იქ ლევან ბეჟაშვილი და გიორგი ღვინიაშვილი გაუშვეს, თუმცა დაავიწყდათ, რომ პრემიერიც კახელია, თან კახელებს პირდაპირობა არც მანამდე ეშლებოდათ და ახლა ხომ საერთოდ. ისე, ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ უშუალოდ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ღვინიაშვილმა სააკაშვილს 58 პატიმრის სია შეუტანა და მათი შეწყალება ითხოვა. ვიღაცები ამბობენ, ამისთვის ყოფილმა პროკურორმა დიდი ფული აიღო, მაგრამ იმასაც ამბობენ, ფული არაფერ შუაშია, ამ ადამიანებისგან ღვინიაშვილმა ის ზონდერ-ჯგუფი შექმნა, რომელსაც მმართველი პარტიის აქტივისტთა წინააღმდეგ გამოიყენებსო. ჯერჯერობით, ყოფილი პატიმრებისთვის თვალი არ მოგვიკრავს, ყოველ შემთხვევაში, მათთვის მაინც, ვისაც ვიცნობთ, თუ ორ კაცს არ ჩავთვლით და იმ ორზეც ღვინიაშვილს მარტივად შეუძლია თქვას — ნათესავიაო.

არჩევნებამდე თავისუფლება ლევან ბეჟაშვილს ორმა თანაკლასელმა სთხოვა, თუმცა მან რატომღაც ორივეს წაუყრუა და ერთი ამნისტიის შედეგად გათავისუფლდა, მეორე კი, „სროკს“ დღემდე იხდის. ეს ამბავი ბეჟაშვილის წისქვილზე აშკარად არ ასხამს წყალს, სამაგიეროდ, კვერცხის რაოდენობაზე პირდაპირ აისახება.

მოვლენებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ნაციონალთა წინააღმდეგ „ქართული ოცნების“ აქტივისტები ჯერჯერობით არ ილაშქრებენ. მიზეზი მარტივია — კოალიცია სიებსა და მაჟორიტარებზე მსჯელობს და ამაზე ისეთი ამბებია ატეხილი, თქვენი მოწონებული. ამბიციამოძალებული და აქამდე უსამსახუროდ დარჩენილი აქტივი საკრებულოში მოხვედრას ითხოვს, თუმცა იქ ყველა რომ ვერ მოხვდება, ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ მესამე არჩევნებზე გარეთ დარჩენის პერსპექტივის მქონე აქტივისტები განაწყენდებიან და ვინ იცის, ეგებ, სხვისკენ გაიწიონ. ის „სხვა“ კი ნინო ბურჯანაძეა, რომელმაც ისე გააღო თავის პარტიის კარი, ვისაც არ ეზარება, ყველა იქ შედის. ზღვა კოვზით დაილიაო, ხომ გაგიგიათ და ბურჯანაძეც თითოეულ ხმას დასდევს. მის პარტიას ის აქვს დასამტკიცებელი, რომ ნომერპირველი ოპოზიციაა და ეს მტკიცება საპრეზიდენტო არჩევნებზე ვერ თუ არ გამოვიდა, ახლა მეორე მცდელობაა და ვინ იცის, რით დასრულდება.

ისე, ნაციონალებს ერთ რჩევას მივცემ: ტანსაცმელს ფქვილი მოაყარონ — ეჭვი მაქვს, წინასაარჩევნოდ ისეთი სიცხე იქნება, მშვენიერი ბისკვიტები „გამოვლენ“. მერე ოფისში ამ „ბისკვიტებს“ ჩიორა და ირმა მორთავენ და... „წევიდა ხალისობა“.

„ოცნება“ კი... რა ვიცი, მისი სალამურა რას ფიქრობს, ჯერჯერობით, საინტერესო არაფერი ჩანს...

სიანლე

ფულადი გზავნილები

მეტი არჩევანი და საჩუქრები მთელი წელი!

თიბისი ბანკში ფულადი გზავნილების გათამაშება დაიწყო. ვინც ისარგებლებს თიბისი ბანკის ფულადი გზავნილით, ყოველ მეხუთე გზავნილზე მიიღებს საჩუქარს და ასევე ჩაერთვება გათამაშებაში, რომლის შედეგადაც, შესაძლოა, დასაჩუქრდეს 1000 ან 5000-ლარიანი ფულადი პრიზით.

ყოველი მეხუთე მომხმარებელი, გზავნილის მიმღები ან გამგზავნი, ავტომატურად ხდება გამარჯვებული და ფილიალშივე იღებს მისთვის სასურველ საჩუქარს — სუვენირებს, ელექტროენერგიის უფასო კილოვატებს ან მობილურზე უფასო სასაუბრო დროს.

გარდა ამისა, თიბისი ბანკის ფულადი გზავნილებით სარგებლობის შედეგად მომხმარებელს გადაეცემა მომგებიანი ბილეთები, რომელიც თავსდება ლოტოტრონში და რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, მოიგოთ სუპერპრიზი — 1000 ან 5000 ლარი.

კერძოდ, 2015 წლის 20 იანვარს, 20:00 სთ-ზე შედგება გათამაშება, რომლის დროსაც გამოვლინდება 5 მომხმარებელი, რომელიც მოიგებს 1000 ლარს და 5 მომხმარებელი, რომელიც მოიგებს 5000 ლარს. გათამაშების ნახვა შესაძლებელი იქნება თიბისი ბანკის Facebook გვერდზე.

აქცია წლის ბოლომდე გრძელდება და მასში მონაწილეობის მისაღებად გზავნილის თანხის მოცულობა შეზღუდული არ არის.

წელს თიბისი ბანკმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ფულადი გზავნილების ქსელი და უფრო მრავალფეროვანი გახადა არჩევანი, რის შედეგადაც მომხმარებელს სთავაზობს ფულადი გზავნილების მეტად კომფორტულ სერვისს. კერძოდ, უკვე შესაძლებელია ფულადი გზავნილების შემდეგი სისტემებით სარგებლობა:

- **Western Union**
- **Unistream**
- **Contact**
- **Intel Express**
- **Moneygram**
- **Anelik (სარგებლობა შესაძლებელი იქნება 1 მაისიდან)**
- **RIA**

სერვისის მიღება შეუძლიათ როგორც თიბისი ბანკის არსებულ, ისე ახალ მომხმარებლებს.

იჩქარეთ, გაგზავნეთ თანხა ნებისმიერი მიმართულებით, ჩაერთეთ გათამაშებაში და დასაჩუქრდით!

გიგი უგულავას სიმამრი პასუხისგებაში მიეცა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცა ეს შპს „მანის“ დირექტორები — შალვა კილაძე და გიორგი მჭედლიშვილი.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შალვა კილაძემ ვერ მოახერხა საგამოძიებო ორგანოში მისვლა, ამიტომ მას ბრალი წარედგინა საკუთარ სახლში.

„გამოძიებით დადგენილია, რომ 2006 წლის 01 თებერვლიდან, ქ. თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას სიმამრი შალვა კილაძე, მეუღლის ნინა კილაძის სახელით ფლობს შპს „მანის“ 50% წილს. 2011 წლის 3 თებერვალს შპს-ზე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, საწარმო გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე ახდენს გაჯის მოპოვებას. მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიით განსაზღვრული იყო გაჯის მოსაპოვებელი ტერიტორია და ნედლეულის რაოდენობა, ნიადაგის მახასიათებლიდან გამომდინარე, მეტი სარგებლის მიღების მიზნით, გიორგი უგულავას მფარველობისა და სამართალდამცავი ორგანოებისაგან ხელშეუხებლობის გარანტიის დაპირებით, შალვა კილაძე ავალებდა საწარმოს დირექტორს გიორგი მჭედლიშვილსა და სხვა თანამშრომლებს ლიცენზიით გათვალისწინებული საზღვრების გარეთ გაჯის ნედლეულის მოპოვებას, რა დროსაც შპს „მანის“ მიერ სოფელ კრწანისის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ იქნა გადამუშავებული 9 475,07 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საიდანაც საწარმომ მიიღო 138 572 ლარის უკანონო შემოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა გაჯის ნედლეულის მოპოვება და გადამუშავება, 2007-2009 წლებში შპს „მანის“ თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო პოლიციისთვის მიწოდებული აქვს საწოლები და ლეიბები, ასევე ქ. თბილისის მერიისთვის შესრულებული აქვს კონცერტის საორგანიზაციო სამუშაოები, რომელთა საერთო ღირებულებაც შეადგენს 1 566 521 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5-წლამდე ვადით“, — ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„მედიანიუსი“



ილია II: „მამაკაცი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ოჯახისა და ცოლ-შვილის წინაშე!“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა, რომ ყველა მამაკაცი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ოჯახის, ცოლ-შვილის წინაშე. მამაკაცმა უნდა იგრძნოს, რომ ისაა თავი ოჯახისა და არ უნდა დაკარგოს იმედი და წყალობა ღვთისა:

„მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ, თუ ერთი საქმე არ გამოუვა, უნდა მიმართოს მეორეს, მესამეს, მეათეს... უნდა ახსოვდეს, რომ ღვთის წყალობის გარეშე არავინ დარჩება. და მინდა, განსაკუთრებით შევთხოვო უფალს, ნებისყოფა მისცეს ცოლსა და ქმარს, რათა ღირსეული შვილები აღზარდონ, რომლებიც იქნებიან მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და კეთილი ტრადიციების გამგრძელებლები“.

უწმინდესმა ისურვა, ღმერთმა ინებოს, ქართველი მყარად იდგეს მართლმადიდებლობაში, სიყვარულში, სასოებასა და კეთილ საქმეებში.

„მედიანიუსი“

გერმანია, საფრანგეთი და პოლონეთი რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს ითხოვენ

ევროკავშირი რუსეთზე ეკონომიკურ ზეწოლას აგრძელებს. გერმანიის, საფრანგეთისა და პოლონეთის მთავრობები აცხადებენ, რომ მზად არიან, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სანქციების მესამე სტადიაზე გადავიდნენ. ეს განცხადება საფრანგეთის ნაციონალური საკრებულოს, ბუნდესტაგისა და სეიმის საზღვარგარეთის საქმეთა კომიტეტების ხელმძღვანელებმა — ელიზაბეტ გიგუმ, ნორბერტ როტგენმა და გუეგოჟ სხეტინამ გააკეთეს.

„რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის საკითხში ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო სამართლის დარღვევასა და სამხედრო პროპაგანდას, რომელიც საფრთხეს უქმნის უკრაინის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას“, — განაცხადა როტგენმა და განმარტა, რომ ევროპულმა სანქციებმა რუსეთის ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემას ძალიან დაარტყა, მაგრამ სანქციები უკრაინისადმი მხარდაჭერის გამოხატვაა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

უკრაინის შსს სეპარატისტებს აფრთხილებს

უკრაინის შს სამინისტრო სეპარატისტებს აფრთხილებს, რომ ძალიან ხისტად იმოქმედებს. უწყება მოუწოდებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ნუ გამოიყვანენ ქუჩებში ბოევიკებს და თავი დაანებონ შეტაკებების პროვოცირებას.

უკრაინის შს სამინისტრო ყველას ახსენებს, რომ უკრაინის კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქეებს აქვთ უფლება, იარაღის გარეშე, მშვიდობიანად შეიკრიბონ და თავის აზრი გამოხატონ. **„თუმცა ეს უფლება, შესაძლოა, მხოლოდ საზოგადოებრივი და ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესების გამო შეიზღუდოს“,** — ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უკრაინის შს სამინისტრო აფრთხილებს ყველას, რეაგირება იქნება ძალიან მკაცრი, როდესაც სახეზე იქნება დესტაბილიზების გამიზნული მცდელობა.

„ეს ეხება უკრაინის ყველა ოლქს, მათ შორის მათაც, სადაც ამჟამად მიმდინარეობს სპეცოპერაციები ვითარების დარეგულირებისა და სეპარატიზმის დაძლევის მიზნით“, — ნათქვამია განცხადებაში და იქვე აღნიშნულია, რომ ყველას, ვინც დაარღვევს კანონს, დაიკავებენ და კანონის წინაშე აგებენ პასუხს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ვალერი ხაბურძანია და ნიკა ლალიაშვილი პარტიას ქმნიან?

იყიდა თუ არა ნინო ბურჯანაძემ ქრისტიან-დემოკრატები ერთ მილიონად

რუსუდან შელია
557-100-768

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მხოლოდ პარტია კი არ დატოვა, პოლიტიკიდან წასვლაც გადაწყვიტა. მართალია, ამტკიცებს, პოლიტიკური პროცესების განხილვას სიგარებზე საუბარი მირჩევნიაო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნიკოლოზ ლალიაშვილი „ვერსიას“ იმის შესახებ მაინც ესაუბრა, რატომ შეუერთდა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ნინო ბურჯანაძის პარტიას.

— ნინო ბურჯანაძესთან გაერთიანება პარტიის საბჭოს გადაწყვეტილება გახლდათ, რომლის წევრიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აღარ ვარ. მიმაჩნია, ეს ნაბიჯი პატრიოტული ძალების გამსხვილებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა და სასურველი იქნებოდა, ამ გაერთიანებაში სხვა პატრიოტული ძალებიც შესულიყვნენ...

— ნინო ბურჯანაძეს პატრიოტულ ძალად როდიდან მიიჩნევთ? მახსოვს, 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ, იურისტ ზურა ჯიბღაშვილს მიწერეთ, ყველა მომიტინგე უნდა ჩაეხოცათო...

— როცა ეს ინფორმაცია გავრცელდა, ჩემი პოზიციაც მაშინვე დაფიქსირდა. საერთოდ, ქრისტიან-დემოკრატები ყოველთვის პრაგმატულობით გამოვირჩეოდით... ამჟამად საერთო შეხედულებები ნინო ბურჯანაძესთან გამოინახა.

— იმას, რასაც თქვენ „საერთო შეხედულებებს“ უწოდებთ, სხვები მოსყიდვად აფასებენ. პირდაპირ გკითხავთ: ბურჯანაძემ ქრისტიან-დემოკრატები იყიდა?

— სიცრუეა. როგორც გითხარით, ლიბერალური ძალების გაძლიერების ფონზე, კონსერვატიული გაერთიანების შექმნა აუცილებელი იყო, რაც ქვეყნისთვისაც სასარგებლო იქნება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პოლიტიკური ლანდშაფტი პლურალისტური გახდება.

— ისე, ბურჯანაძეს მხოლოდ გიორგი ახვლედიანი შეუერთდა, ძირითადმა ბირთვმა კი პარტია დატოვა, რატომ?

— ვერ გეტყვით, ეს მათ უნდა ჰკითხოთ, თან პარტია მხოლოდ გიორგი ახვლედიანი არ არის. მაშინ, რაში უნდა გადაეხადა ნინო ბურჯანაძეს ერთი მილიონი, როგორც ხმა გავრცელდა, მხოლოდ ახვლედიანში? პარტიას სერიოზული აქტივები აქვს, მათ შორის, ინფრასტრუქტურა და რეგიონებში კარგად მომზადებული გუნდებიც ჰყავს, რაც დღეს იშვიათობაა. ქდმ კვალიფიციური სუბიექტია და სარეკლამო დროც აქვს.

— ანუ ადასტურებთ, რომ ბურჯანაძეს ქდმ ლიდერების გარეშე, მხოლოდ ამ რესურსების გამო სჭირდებოდა?

— ვიმეორებ, პარტიას ლიდერები რეგიონებშიც ჰყავს და ისინი ნინო ბურჯანაძესთან გაერთიანდნენ. ეს კოალიცია აუცილებლად განვითარდება და ჩემი პროგნოზით, სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწევს.

— თუ ასე ფიქრობთ, პარტია და საერთოდ, პოლიტიკა რატომ დატოვეთ?

— ჩემთვის პოლიტიკაზე საინტერესო ბიზნესში მუშაობა აღმოჩნდა.

— რა ბიზნესი გაქვთ?

— ამჟამად მაღალტექნოლოგიურ სფეროში ვმუშაობ — რობოტექნიკა, კიბერუსაფრთხოება და ა.შ.

— „ვერსიის“ ინფორმაციით, ვალერი ხაბურძანიასთან ერთად პოლიტიკაში დასაბრუნებლად და ახალი პარტიის შექმნისთვის ემზადებით.

— ვალერი ხაბურძანია ჩემი ახლო მეგობარია, მაგრამ ახალი პარტიის შექმნაზე საუბარი არ ყოფილა. საერთოდ, ქრისტიან-დემოკრატებიდან წასული „გვარდიელები“ ერთმანეთთან დაპირისპირებას არ აპირებენ. ჩვენი პოლიტიკიდან წასვლა ნინო ბურჯანაძეს არ უკავშირდება. პირადად მე, ვფიქრობ, ახლა უფრო მეტს ვაკეთებ ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებისთვის და რეალიზაციისთვისაც მეტი შესაძლებლობა მომეცა.

რაც შეეხება ვალერი ხაბურძანიას გეგმებს, მას რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე და, როგორც ვიცი, თვითმმართველობის არჩევნებში გააქტიურებას არ გეგმავს, საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება.

— ისედაც ნათელია, რომ კოალიციის შექმნის მთავარი მიზანი საპარლამენტო არჩევნებია. ვალერი ხაბურძანიაც ნინო ბურჯანაძის გაერთიანებაში მოიაზრება?

— არ ვიცი, შესაძლოა, ვალერი ხაბურძანია ნინო ბურჯანაძის კოალიციას მართლაც დაუკავშირდეს, რადგან ისიც კონსერვატიული ღირებულებების ადამიანია. ჩემი აზრით, თუ ხაბურძანია პოლიტიკაში გააქტიურებას გადაწყვეტს, სერიოზული პერსპექტივებიც ექნება, თუმცა ამაზე საუბარი, ამ ეტაპზე, ნაადრევია.

ვერსიანიუსი

მთავრობა დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციას იწყებს

მთავრობა დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციას და ახალი საზღვრების დადგენას გეგმავს. ამ მიმართულებით პარლამენტი „დაცული ტერიტორიების სისტემების“ შესახებ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს იხილავს. პროექტის მიხედვით, დაცული ტერიტორიებიდან ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიები, ასევე ის ინფრასტრუქტურული ელემენტები ამოირიცხება, რომლებიც დაცული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი არ არის.

როგორც გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს, მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან დაახლოებით 400 ათასი ლარი გამოყო, რათა კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ორი დაცული ტერიტორიის – თბილისისა და ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაცია მოხდეს.

„ტერიტორიებს შორის არის უამრავი „გადაფარვა“. უამრავი მესაკუთრე წუხდა, რომ საჯარო რეესტრში ვერ არეგისტრირებდა მიწას. პასუხი ყოველთვის ერთგვაროვანი იყო — მიწის გარკვეული ნაწილი ან მთლიანად ნაკვეთი დაცული ტერიტორიების ფარგლებშია მოქცეული, ამიტომ უამრავ მესაკუთრეს საკუთრებას არ ურეგისტრირებდნენ. მათ ჰქონდათ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები, პრივატიზაციის დადგენილებები, მაგრამ საკუთრებას საჯარო რეესტრში ვერ არეგისტრირებდნენ. ეს განსაკუთრებით ხდებოდა საგურამოს მიმართულებით, მცხეთის რაიონის სხვა სოფლებში, ასევე ცხვარიჭამიისკენ და სხვა ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გაცემული იყო საბაღე ნაკვეთები და შემდგომ წლებში ისინი დაცული ტერიტორიების ფარგლებში მოექცა. გადავწყვიტეთ, პრობლემა მოგვარდეს, რადგან ეს ხელს უშლის დაცული ტერიტორიების განვითარებას, არის ტერიტორიებზე მუდმივი დაძაბულობა, თვითნებური შეჭრა, უკანონო მშენებლობები. გადავწყვიტეთ, ამ ყველაფერს დავუსვათ წერტილი. არჩეულია ორი ყველაზე პრობლემატური დაცული ტერიტორია – თბილისისა და ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები“, – განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

დეპუტატის ცნობით, გაწერილია 4-წლიანი გეგმა და ყოველ წელს ცენტრალური ბიუჯეტი ან სარეზერვო ფონდი გამოყოფს თანხებს მომდევნო წლებში დაცული ტერიტორიების დემარკაციისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲯᲝᲜᲯᲝᲚᲘ — ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲞᲣᲢᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲐ ᲠᲐᲘᲜᲓᲛᲐ ᲣᲠᲩᲘᲐ?

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ამ წერილს, წესით, „შარდისტყაოსანი“ უნდა დავარქვა, მაგრამ სკაბრეზი არ მიზიდავს, თან ხუმრობა ხომ არაა — რაინდზე ვწერ, ამიტომ, უმჯობესია, ემოციები მოვთოკო... ისე, ფულოსან ვასაძეზე მეორე წერილი იმიტომ იწერება, რომ „ვერსიის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას ვიღაცების შეშფოთება მოჰყვა, არ იცით, ვინ აროსო. ვიცით, ვინ არის და მის მიმართ ბევრი კითხვაც არსებობს, ამიტომაც ვაგრძელებთ თემას. საერთოდ, ქართველებს მესიანიზმისკენ გვაქვს მიდრეკილება. ასე, მაგალითად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მესიად ცხონებულ ზვიად გამსახურდიას მივიჩნევდით, მერე ზვიადს დედა რომ ვუტირეთ, ედუარდ შევარდნაძეს ვუჩოქებდით, მერე „ბაბუც“ შინ გავაპანჩურეთ და ენა-ყბა „მიშა, მიშას“ ძახილით გადავიტყავეთ, მერე მიშაც გავაბუნძულეთ და ბიძინა ივანიშვილი გავაღმერთეთ, ახლა კი ვიღაცები ცდილობენ, ხალხი „დიდ რაინდს“, ლევან ვასაძეს დაემონოს.

ვინ არის ეს ვასაძე და ზუსტად მაშინ რატომ ჩნდება ქართულ პოლიტიკაში, როცა ვითარება კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება?

პოლიტიკურ კულუარებში ამ ბატონზე ათას რამეს ამბობენ, თუმცა, ვიდრე კულუარებში მოარულ ხმას მიმოვიხილავთ, ქართველი, უფრო სწორად, რუსი ოლიგარქის იმ ოფიციალურ ინფორმაციას გავეცნოთ, რომელიც „ვიკიპედიშია“ გამოქვეყნებული:

„ლევან ვასაძე (დაიბადა 1970 წელს) — ქართველი ბიზნესმენი. გაიზარდა თბილისში, მთაწმინდაზე. 1987 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საჯარო სკოლა. 1992 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოფიზიკოსის სპეციალობით. სწავლა განაგრძო 1995 წელს, აშშ-ში, ატლანტის ემორის უნივერსიტეტის რობერტო გოიზუეტას სახელობის ბიზნესსკოლაში, ბიზნესადმინისტრაციის მაგისტრის ხარისხით... 2006-2007 წლებში სწავლობდა მოსკოვის წმინდა ტიხონის მართლმადიდებლურ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში, სადაც მოციქულთა და პატერიკის შემსწავლელ კურსებზე ეუფლებოდა ძველი და ახალი აღთქმის ლიტურგიკას.

კარიერა — 1990-1991 და 1993-1995 წლებში ცხოვრობდა, სწავლობდა და მუშაობდა ბიზნესის სფეროში აშშ-ში. 1995-2007 წლებში ცხოვრობდა, სწავლობდა და მუშაობდა ბიზნესის სფეროში რუსეთში. 2008-2009 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა ბიზნესის სფეროში ინგლისში. 2009 წლიდან, ოჯახთან ერთად, კვლავ ცხოვრობს საქართველოში. სხვადასხვა დროს იყო რუსული და საერთაშორისო კომპანიების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე, წევრი, გენერალური დირექტორი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და დირექტორი. ამჟამად არის კომპანიების — Pet Retail Russia, Prometheus Capital Partners, Ltd., შპს „ბაგრატიონი 1882“ და შპს „სამოსელი პირველის“ დამფუძნებელი და დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე. არის კიკეთის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული სასწავლებლის დამაარსებელი და მმართველობის წევრი, საქართველოს რაგბის კავშირის მმართველობის წევრი, აშშ-ს ემორის უნივერსიტეტის გოიზუეტას ბიზნესსკოლის სტუმარი ლექტორი საერთაშორისო ბიზნესში, ყოველწლიური საქველმოქმედო სპორტული მოტორალის ლონდონი-თბილისი თანათავმჯდომარე. აგრეთვე არის ყოველწლიური საქველმოქმედო „ქართული მეჯლისის“ დამფუძნებელი და მეურვეთა საბჭოს წევრი.

ოჯახი — ჰყავს მეუღლე და შვიდი შვილი.

წერს ლექსებს“.

ვერაფერს იტყვით — ერთი შეხედვით, მართლაც, კარგი „სივია“, მაგრამ რა იმალება ყველაფერ ამის უკან?

ვიდრე ქართულ საზოგადოებას თავის „სიბრძნეს“ შვილი ვასაძე მოახვევდა, ხალხს მამა ვასაძე „აზომბებდა“ — როგორც უფროსი თაობის თბილისელები და თვითმხილველები ამბობენ, შიო ვასაძე, რომელიც ახლა ერთ-ერთი მაღალი მღვდელმთავარია, ურინოთერაპიით ყოფილა გატაცებული. ურინოთერაპია კი — არც მეტი, არც ნაკლები — შარდით მკურნალობაა ანუ რაინდ ვასაძის მამა ხალხს შარდს ასმევდა!

ვერ გეტყვით, უფროსმა ვასაძემ შარდით ვინმე განკურნა თუ არა, მაგრამ ბოროტი ენები ამტკიცებენ, ვასაძეების „შარდის ბიზნესის“ მთავარი ოფისი პუშკინის სკვერი იყოო, ესე იგი, შარდის დაგემოვნების მსურველები ექიმბაშ შიოს, თურმე, პუშკინის სკვერში ხვდებოდნენ.

გამოხდა ხანი და ექიმბაშმა თავშესაფარი ეკლესიის წიაღში ჰპოვა, თუმცა, როგორც ირკვევა, ფულის კეთების ანუ ბიზნესისთვის თავი არ დაუნებებია და წყალ „სნოს“ წარმოებას ხელმძღვანელობს. სხვადასხვა წყაროს თქმით, შპს, რომელიც „სნოს“ ასხამს, საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ გარკვეული გადასახადებისგან გათავისუფლებულია. მაშასადამე, „სნო“ ასი პროცენტით მოგებაზე მუშაობს და ეს მოგება ერისა და მშიერმუცელა ხალხის სვე-ბედზე მაფიქრალ ლევან ვასაძის ბიზნესს „ერთ-ორ კაპიკს“ მატებს.

ისე, პატივცემულ რაინდს, რომელიც მიიჩნევს, რომ მინიმუმ, თანამედროვე ილია ჭავჭავაძეა და ხალხს ჭკუა უნდა დაარიგოს, ცოტა „ბურატინოობისკენ“ აქვს მიდრეკილება. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მიანიშნა, მართლმორწმუნე ქრისტიანს პლასტიკური ბარათი არ უნდა ჰქონდესო.

აბა, მამაძაღლი, მილიარდერი კაცი ფულს მუთაქებში ინახავ? თუ, რადგან ლევანი ხარ, ვასაძე და ხალხისთვის თავბრუსდახვევას ჩოხითა თუ სხვა ეროვნული ატრიბუტით ცდილობ, პლასტიკური ბარათი შენ უნდა გქონდეს და სხვას არა? ეს რაინდი, ალბათ, ე.წ. აიდი-ბარათის ფარული მოწინააღმდეგეცაა, მაგრამ მამაცხონებულო, თავს რომ იწონებ, აშშ-ში ვსწავლობდი, ვშრომობდი და ახლაც, ერთ-ერთ ამერიკულ სასწავლებელში სტუმარი ლექტორის სტატუსით ჩავდივარ ხოლმეო, წითელი საბჭოთა პასპორტით სარგებლობ?

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ რაინდმა ვასაძემ ერთი პიარსვლა გააკეთა: რაღაც ლექსი დაუწერია — „ბედნიერებამ მითხრა, ნუ მეძებ!“, რომელიც სოციალურ ქსელში „შეაგდო“ და სანახაობის მოყვარულ ხალხსაც მეტი რა უნდოდა, ისინიც კი, ვისაც პოეზიისა არაფერი გაეგება, რაინდის შემოქმედების ფანები გახდნენ. მოკლედ, ეს ის შემთხვევა იყო, როცა მიზანი საშუალებას ამართლებს.

ლევან ვასაძე ჯონჯოლივითაა, ყველა სუფრაზე რომ მიაქვთ. ჰოდა, ვასაძეც ყველგანაა, რაღაც დემოგრაფიულ ფონდში, საპატრიარქოს „სასტავში“, თავდაცვის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოში, პრეზიდენტ მარგველაშვილის გვერდით. ისე, ვასაძესა და „მარგველას“ ერთმანეთთან, თურმე, 35-წლიანი მეგობრობა აკავშირებს და ამის შესახებ თავად რაინდმა ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში.

„ვერსიას“ კულუარებში უთხრეს, რომ ბიძინა ივანიშვილს პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა სწორედ ვასაძემ შესთავაზა. „ბიძინას თავიდან უნდოდა, პრეზიდენტად ერთ-ერთი ცნობილი და ყველასთვის მართლაც პატივსაცემი ადამიანი წამოეყენებინა, მაგრამ ამ ადამიანმა თავი შორს დაიჭირა, რაღა დროს ჩემი პრეზიდენტობაა, 70 წელს ვარ გადაცილებული, თან ქვეყნის მართვა ჩემი საქმე არ არისო. ამ უარის შემდეგ, ბიძინა საგონებელში ჩავარდა და ლევან ვასაძეს სთხოვა, იქნებ შენ იყო პრეზიდენტიო. ვასაძემ, ჭეშმარიტი რაინდივით, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ივანიშვილს უთხრა, თუ ჩემი პატივისცემა გინდა, პრეზიდენტობის კანდიდატად ჩემი მეგობარი გიორგი მარგველაშვილი დაასახელეო“, — ამბობს წყარო.

ვასაძე არ უარყოფს, რომ რუსეთში წარმატებული ბიზნესი აქვს, მათ შორისაა ზოომაღაზების ქსელი.

„რუსეთში მაქვს საინვესტიციო კომპანია, რომელიც აბანდებს კაპიტალს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში რაინდმა და იქვე განმარტა, რომ ეს საინვესტიციო ფონდი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებული თანაინვესტირების ფონდის მსგავსია.

არსებული ინფორმაციით, ვასაძემ მოსკოვში ეს კომპანია 2010 წელს დააარსა. ფონდის მონაწილეობით განხორციელებული საშუალო გარიგება 50 მილიონი დოლარია. ვასაძის მოსკოველი ბიზნესპარტნიორები არიან საფთიაქო ქსელ „36,6“-ის მფლობელი გიორგი ჩქარეული და მოსკოვში ცნობილი იურიდიული ფირმის მენეჯერები — ოლეგ ანკინი და ტომ კოსკო.

ნიშანდობლივია, რომ რაინდი ვასაძე რუსეთში ვეტერინარული პროდუქციის დისტრიბუციასაც ეწევა.

ლევან ვასაძის ბაგეებს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: **„რუსეთის იმპერიამ საქართველო გააერთიანა!“**

ამ „ისტორიული ფრაზით“ რაინდმა ვასაძემ თავი გაშიფრა და ეჭვი გააძლიერა, რომ მის უკან რუსული სპეცსამსახურები დგას...

მას შემდეგ, რაც რაინდმა კრემლი საქართველოს გამაერთიანებლად შერაცხა, ნაციონალმა ეკა ხერხეულიძემ Facebook-ის საკუთარ გვერდზე დაასტატუსა:

„ერთი, მამაშენმა შიომ განკურნა ხალხი შარდის სმით და მეორე, რუსეთის იმპერიამ გააერთიანა საქართველო!

უფლისწულის ბაბუამ ნუგზარ ბაგრატიონმა ლევან ვასაძე რაინდად აკურთხა. დედაა, რას მოესწრო ექიმბაში შიო!“

ცალკე საუბრის თემაა ვასაძისა და ბაგრატიონების ურთიერთობა. ვის აწყობს საქართველოში მეფის ინსტიტუტის აღდგენა მაშინ, როცა ქვეყანა ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცეს ნელა, მაგრამ მაინც უახლოვდება? — ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მეფის ინსტიტუტის გააქტიურება, შესაძლოა, რუსული სპეცსამსახურების მორიგი პროვოკაციაა. ამ ეჭვს რაინდ ვასაძის ზემოხსენებული ფრაზაც ამყარებს, რუსეთის იმპერიამ საქართველო გააერთიანა.

ბატონო რაინდო, მართალს ბრძანებთ — სისხლიანმა იმპერიამ საქართველო გააერთიანა და თავისუფლება, დამოუკიდებლობა წაართვა! იმის მაგივრად, ქვეყნის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისა და კრემლისგან წართმეული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად იბრძოლოთ, ოკუპანტს დითირამბებს უმღერით, თუმცა რა გასაკვირია — მილიონებს ხომ სისხლიან იმპერიაში შოულობთ ანუ იქ, სადაც, როგორც ამბობენ, ფულის, მით უმეტეს, დიდი ფულის შოვნა სპეცსამსახურების „დაკრიშვის“ გარეშე შეუძლებელია!

რაც შეეხება რაინდ ვასაძის ქონებას, ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა 2006 წელს ჟურნალმა „ფინანსებმა“ ვასაძის ქონება 35 მილიონ დოლარად შეაფასა.

სხვათა შორის, 13 მაისს, ზუსტად მაშინ, როცა პრემიერი ღარიბაშვილი უმრავლესობას ხვდებოდა, პრეზიდენტი მარგველაშვილი ევროპული არჩევანის სახელით გამართულ აქციაზე მივიდა. ამბობენ, რომ ამ აქციის უკან ნაციონალები დგანან; იმასაც ამბობენ, რომ ნაციონალები, კერძოდ, გიგა ბოკერია, გიორგი მარგველაშვილი და ლევან ვასაძე მეგობრები არიან (მარგველაშვილი ვასაძის 17 წლის ვაჟის ნათლია ყოფილა). თუ ვასაძე რუსული პროექტია,მაშინ გამოდის, მას მარგველაშვილიც და მისი ზემოხსენებულ აქციაზე მისვლაც შირმად სჭირდება ანუ სახეზეა ვასაძის შეთქმულება ევროპული არჩევანის სახელით...

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ 15 ᲛᲚᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ

საექსპორტო ბაზარზე ქართულ კონიაკზე მოთხოვნა იზრდება. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წლის პირველ კვარტალში, საქართველოდან 15 მლნ აშშ დოლარის კონიაკია ექსპორტირებული, რაც 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 113%-ით მეტია.

იანვარ-მარტში, 9 ქვეყნის ბაზარზე 4 მლნ-მდე (0.5ლ) ბოთლი კონიაკი გაიტანეს. ექსპორტირებული ქართული კონიაკის 62% უკრაინაში გაიყიდა, მეორე ადგილზეა რუსეთი, სადაც 1.2 მლნ ბოთლი კონიაკია რეალიზებული.

BPI

ოქრუაშვილ-მერაბიშვილის თაღლითური სქემა, რომელსაც „ოცნება“ აბრძოლებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ფოთის ნავსადგურის მფლობელის, „აი პი ემ ტერმინალსის“ გადაწყვეტილებით, რომელიც ამერიკული კომპანია „მაერსკის“ ჰოლდინგში შედის, 1 მაისიდან ყველა იმპორტირებულ ტვირთი მხოლოდ ერთ ტერმინალში განბაჟდება, რასაც საქართველოში მოქმედი 40-ზე მეტი სატერმინალო, ლოგისტიკური კომპანია აპროტესტებს, რადგან ეს გადაწყვეტილება სარკინიგზო ტვირთების მოცულობას შეამცირებს, ტვირთების განბაჟების ტარიფს გაზრდის, შესაბამისად, იმპორტირებული პროდუქტიც გაძვირდება, „აი პი ემ ტერმინალსი“ კი ბაზრის მონოპოლისტად ჩამოყალიბდება. ლოგისტიკური კომპანიების წარმომადგენლებმა წერილობით მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს. ლოგისტიკური კომპანია „ისთგეით გრუპის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას დეტალურად შიფრავს იმ თაღლითურ სქემას, რომლითაც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს, ფოთის ნავსადგურის მმართველი კომპანია (იმხანად, ფოთის ნავსადგურის მფლობელი არაბული „რაკია“ იყო) მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების განბაჟების ნაწილში, მონოპოლისტად იქცა და ყველაფერი „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, „აი პი ემ ტერმინალსის“ გადაწყვეტილებით, უარესი ტემპით გრძელდება.

— ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, თავს კარგად ვგრძნობდი, რასაც ყურადღება, რა თქმა უნდა, არ მივაქციე, მაგრამ, როდესაც პირად საუბარში ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმაც იგივე გამიმეორა და მითხრა, სად იყავი, როდესაც ეს პრობლემა დაიწყოო, აღვშფოთდი. პირდაპირ გეუბნებით — არც ასეთ დამოკიდებულებას ველოდი და არც ასეთ უცოდინრობას. ეს პრობლემა 2004 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, ყველაფერს დეტალურად გიამბობთ და რამდენიმე დახურულ თემასაც გავხსნი. 2004 წელს პარლამენტის წევრი ვიყავი. ხელისუფლებაში ახლადმოსული ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდები სხვადასხვა თანამდებობაზე გადანაწილდნენ, დამატებითი შემოსავლების ძებნა დაიწყეს და სატრანსპორტო ინდუსტრიას მიადგნენ. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ისეთია, მთავარი საექსპორტო ნომენკლატურა ხან ჯართია, ხან მსუბუქი ავტომობილები. მაშინ ჯართი იყო და ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, კერძოდ, ირაკლი ოქრუაშვილმა, საბაჟო დეპარტამენტს მიაღებინა განკარგულება, რომლის საფუძველზეც ჯართი ნავსადგურის ერთ ადგილზე, მხოლოდ გემში უნდა დაეტვირთათ და კონტეინერში დატვირთვა იკრძალებოდა, რაც აბსურდი იყო. ეს განკარგულება გავაპროტესტე, რასაც 2004 წლის დეკემბერში ჩემი ძმის დაპატიმრება მოჰყვა. ცოტა ხანში, ეკონომიკის მინისტრად კახა ბენდუქიძე დანიშნეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ძმა დაიჭირეს, მაინც არ მოვეშვი და ეს სულელური ბრძანება გავაუქმებინე. 2005 წელს ჩემს ჯგუფში შემავალი სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთი შენობის წართმევა მოინდომეს, მაგრამ ვერ წამართვეს, მერე დანგრევა გადაწყვიტეს, მაგრამ არც ამის უფლება მივეცი; ბოლოს, კომპანიას იმხელა ჯარიმა დააკისრეს, უმჯობესი იყო, დაენგრიათ, რადგან ჩვენ მიერ აშენებული შენობა, პრაქტიკულად, გვაყიდვინეს... შედარებით წყნარი პერიოდი 2008 წლამდე იყო, თუმცა 2008 წელს, როდესაც 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ სააკაშვილმა პრეზიდენტის პოსტი დატოვა და ვადამდელი არჩევნები გამოაცხადა, მოქმედმა მაღალჩინოსანმა, ვანო მერაბიშვილმა ჩემთან შეხვედრა მოითხოვა. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებმა ზუსტად იცოდნენ, სააკაშვილს უნდა გაემარჯვა, მაგრამ ამისთვის ხმები არ ჰყოფნიდა, ამიტომ ვანო მერაბიშვილმა მითხრა — ახალი მემარჯვენეების ლიდერმა, დავით გამყრელიძემ მიხეილ სააკაშვილი გამარჯვებულად სცნოს, სამაგიეროდ, „ისთგეით გრუპს“ ხელ-ფეხს გავუხსნითო **(მაშინ ირაკლი იაშვილი ახალი მემარჯვენეების პარტიის წევრი იყო, — ავტ.).** ზუსტად ორ დღეში, დავით გამყრელიძემ ლევან გაჩეჩილაძესთან ერთად ბრიფინგი გამართა და, თუ გახსოვთ, განაცხადა, ჩემი პრეზიდენტი ლევან გაჩეჩილაძეაო. ამის შემდეგ, ჩვენს თავს საშინელება დატრიალდა იმიტომ, რომ თამაშში არ ავყევით და უარი ვუთხარით. პარალელურად, წლების განმავლობაში, ჩემი კომპანია ცდილობდა, ნატო-ს სამხედრო მიმართულების ტვირთები მოეზიდა. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ერთი თვით ადრე, ივლისში ვაზიანის ტერიტორიაზე დიდი სამხედრო სწავლება ჩატარდა, ქვეყანაში ნატო-ს ჯარები და დიდი რაოდენობის მძიმე ტექნიკა შემოვიდა. ამ ტექნიკის გადაზიდვაზე ტენდერი გამოცხადდა, სადაც ჩვენმა კომპანიამ გაიმარჯვა, კარგად მახსოვს: 2008 წლის 6-7 აგვისტოს, ბოლო ტანკი გადავტვირთეთ და ბულგარეთში გავუშვით. ამის გამო, ნატო-ს გენერლებისგან მადლობის წერილებიც მივიღე, რადგან კარგად იცოდნენ, როგორ მუშაობდა ჩვენი კომპანიის ინფრასტრუქტურა და შესაბამისად, როდესაც 2008 წლის ბოლოს დადგა საკითხი, რა მარშრუტით უნდა გაევლო ნატო-ს ტვირთებს, უპირატესობა სწორედ ჩვენ მოგვანიჭეს. მუშაობა დავიწყეთ და რეგულარული ტვირთებიც გაჩნდა, რომელიც ჩვენი ტერმინალის გავლით ავღანეთში გადიოდა. 2009 წელს, როდესაც ოპოზიცია გააქტიურდა, უკვე პოლიტიკიდან წასული ვიყავი, მაგრამ, როგორც კი ქალაქში პირველი კარვები გამოჩნდა, ჩემს წინააღმდეგ შეტევა განახლდა და „საქართველოს რკინიგზამ“ ნატო-ს ტვირთებზე მომსახურება შემიწყვიტა. სხვათა შორის, მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნები ნატო-ს წარმომადგენლებსაც სთავაზობდნენ, სხვა კომპანია აერჩიათ, მაგრამ ისინი მაინც ჩვენთან თანამშრომლობდნენ. რამდენიმე თვის განმავლობაში, ნატო-ს სამხედრო ტვირთები ჩვენს ტერმინალში გროვდებოდა და, შენახვის გამო, გაცილებით მეტი შემოსავალი მივიღე, ვიდრე გადაზიდვისას უნდა მიმეღო. როგორც კი ოპოზიციამ კარვები აიღო, ხელისუფლებამ ჩვენი ტვირთების გადაზიდვა განაახლა...

— ბატონო ირაკლი, რატომ უნდა განბაჟდეს იმპორტირებული საქონელი „აი პი ემ ტერმინალსის“ კუთვნილ ტერმინალში და ფოთის ნავსადგურის მმართველის ამ გადაწყვეტილებას რა საფუძველი აქვს?

— 2010 წელს, შემოსავლების სამსახურის უფროსად გოგა ცხაკაია დანიშნეს, რომელიც ნამდვილი მანიაკი იყო — კომპანიების ხელმძღვანელების წამება დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. იმხანად, ფოთის ნავსადგური მართვაში არაბულ „რაკია ჯგუფს“ გადასცეს. შემოსავლების სამსახურისა და „რაკიას“ ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკება შედგა, რომლითაც არაბებს გეზი-ს **(გაფორმების ეკონომიკური ზონა, — ავტ.)** შენობა უნდა აეშენებინა, ხელისუფლება კი ტვირთების განბაჟების ექსკლუზივს დაპირდა. იმ დროს, საქართველოს ეკონომიკაში ჯართის ნაცვლად, პირველ ადგილზე, მსუბუქი ავტომობილები გადავიდა — აღმოაჩინეს, რომ საქართველოში მსუბუქი ავტომობილები დიდი რაოდენობით შემოდის და იმპორტისა და ექსპორტის ამ კომბინაციაში ძალიან დიდი ფული ტრიალებს, ამიტომ ამ ბიზნესის ხელში ჩაგდება და ფულის გაკონტროლება გადაწყვიტეს. სხვათა შორის, ეს დავით კეზერაშვილსაც სურდა, მაგრამ ნავთობის ბიზნესითა და სარკინიგზო გადაზიდვებით იმდენად იყო დაკავებული, ამისთვის ვეღარ მოიცალა. მას შემდეგ, რაც თბილისსა და ფოთში გაფორმების ეკონომიკური ზონები შეიქმნა, გოგა ცხაკაიამ მსუბუქი ავტომობილების განბაჟების კორუფციული სქემა შეიმუშავა, რომელმაც ფოთის პორტის მფლობელ „რაკიას“, გეზ-ის შენობის გვერდით, საკონტეინერო ტერმინალიც ააშენებინა და სწორედ აქ უნდა განებაჟებინა ნებისმიერ გადამზიდავ კომპანიას თავის ტვირთი. „ისთგეით გრუპის“ გარდა, მსოფლიოში სიდიდით მესამე საზღვაო კომპანია „სი ემ ეის“ წარმომადგენელიც ვარ, კომპანიას საქართველოში მსუბუქი ავტომობილები შემოჰყავს. ეს ინდუსტრია ასე მუშაობს: გემი და კონტეინერები, რომლებიც გემზეა, ჩვენი საკუთრებაა, საკუთრებაში გვაქვს ტერმინალიც ფოთის ნავსადგურში, სადაც ეს ტვირთი უნდა განბაჟდეს. აბსოლუტურად უზრუნველყოფილი და კონკურენტებისგან გამიჯნულები ვართ, მაგრამ გოგა ცხაკაიამ, „რაკიინთან“ მოლაპარაკების შემდეგ, ფოთში სხვა საკონტეინერო ტერმინალი ააშენა და ფინანსთა მინისტრის ზეპირი ბრძანების საფუძველზე, ყოველგვარი ნორმატიული აქტის გარეშე, საქართველოში შემოსული მსუბუქი ავტომობილების განბაჟება მხოლოდ „რაკიას“ საკუთრებაში არსებულ ტერმინალში დაიწყეს, თანაც ეს უფლება „რაკიას“ ხუთი წლით, 2015 წლამდე გადასცეს. ვიდრე ეს პროცესი დაიწყებოდა, შემოსავლების სამსახური ფოთის ნავსადგურის ყველა ტერმინალში, მათ შორის, ჩვენს ტერმინალშიც შევარდა და 1 500 000-დან 2 000 000-მდე ლარის ჯარიმა დაგვარიცხა. ფოთში 8 ტერმინალია და ჯამში, 16 000 000 ლარის ჯარიმა დაგვარიცხეს, რაც ერთგვარი პრევენცია იყო — გადამზიდავებს ზემოხსენებული გადაწყვეტილება არ უნდა გაგვეპროტესტებინა და ნებისმიერი ტვირთი მხოლოდ „რაკიას“ ტერმინალში უნდა განგვებაჟებინა. სხვებზე ამან გაჭრა, მაგრამ ჩვენ სერიოზული აუდიტორული კომპანია დავიქირავეთ და გოგა ცხაკაიას ომი გამოვუცხადეთ. როგორც კი „ცეცხლი გავუხსენით“ და შესაბამისი საბრძოლო მოქმედებები დავიწყეთ, თუკი ჩემს სახელზე რამე კომპანია ირიცხებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ტრანსპორტთან შეხება ჰქონდა თუ არა, ერთ საათში ყველგან შეცვივდნენ. ერთი წელი ამ რეჟიმში ვიმუშავეთ, მაგრამ როდესაც შემოსავლების სამსახურის უფროსის პოსტზე გოგა ცხაკაია ჯაბა ებანოიძემ ჩაანაცვლა, ცოტა ამოვისუნთქეთ.

— რა მოხდა სხვა კომპანიებში, რომლებიც „ისთგეით გრუპში“ შედიოდნენ, მაგრამ სატრანსპორტო გადაზიდვებთან შეხება არ ჰქონდათ?

— „ჯორჯიან პეტროლიუმი“, რომელიც წარმატებული კომპანია იყო და ახლაც ასეა, საწვავის რეალიზაციას ახორციელებდა. დღეს ეს კომპანია ჩემი აღარ არის, წამართვეს და „სოკარის“ საკუთრებაშია. ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიაც“ ჩემი დაფუძნებულია, რომელსაც კარგი კონცეფცია ჰქონდა — მცირე ზომის თვითმფრინავებით, საქართველოს გარშემო ფრენები უნდა განეხორციელებინა. ყველაფერი მზად გვქონდა, პირველი თვითმფრინავი 2010 წლის აპრილში ჩამოვიყვანეთ, საქართველოს ბორტის ნომერიც მინიჭებული ჰქონდა, ეკიპაჟიც დაქირავებული მყავდა, 40-კაციანი ოფისი მოქმედებდა, ბილეთების დაჯავშნის სისტემაც შევიძინეთ და ოპერირება უნდა დაგვეწყო, მაგრამ გაგვაჩერეს. ტრანსპორტის დეპარტამენტი მაშინ ინფრასტრუქტურის სამინისტროში შედიოდა, მინისტრი სმაკელი დავით ტყეშელაშვილი იყო, ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ასევე სმაკელი — ჭიჭინაძე. როგორც კი გადაზიდვის პრობლემას მოვაგვარებ, ორივეს — ტყეშელაშვილსაც და ჭიჭინაძესაც პასუხს მოვთხოვ და ვაჩვენებ, როგორ უნდა ავიაკომპანიის გაჩერება! მოგვიანებით, ავიაბაზარზე სულ სხვა „ფლაი ჯორჯია“ გამოჩნდა. ჩემი ავიაკომპანია იმიტომ გააჩერეს, რომ იგივე სახელით, ოღონდ სხვა საიდენტიფიკაციო კოდით, სხვა კომპანია შეექმნათ. მათთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ იმიტომ გამაჩერეს, რომ წინა ხელისუფლებას დავესაჯე.

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

— ისევ ფოთის ნავსადგურს დავუბრუნდეთ, ეს პრობლემა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რატომ გაგრძელდა?

— ამასობაში, ფოთის ნავსადგურის მფლობელი შეიცვალა და არაბული „რაკია“ დანიურმა „აი პი ემ ტერმინალსმა“ ჩაანაცვლა, რომელიც გიგანტური ამერიკული კომპანია „მაერსკის“ ჰოლდინგში შედის. „მაერსკი“ და ჩემი პარტნიორი „სი ემ აი“ ზღვაშიც და ხმელეთზეც კონკურენტები არიან. ახალი ხელისუფლების პირობებში, მეგონა, ამ უსამართლობას ბოლო მოეღებოდა — ჩვენ ხომ ქონების დაბრუნებას არ ვითხოვთ, მხოლოდ ზეპირად გაცემული ბრძანების გაუქმება გვინდა. ნორმატიული აქტი რომ არსებობდეს, გავასაჩივრებდი მაინც, მაგრამ ზეპირი ბრძანება როგორ გავასაჩივრო, რომლითაც მებაჟე არც ერთ სხვა ტერმინალში არ უნდა მივიდეს, „აი პი ემ ტერმინალსის“ კუთვნილი ტერმინალის გარდა?! ახალი ხელისუფლების პირობებში რამდენიმე მაღალჩინოსანს შევხვდი და ამ პრობლემაზე ვესაუბრე. გავიდა თვეები, მაგრამ შედეგი ვერ ვნახე, ოფიციალური წერილებიც მივწერე ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებს, ბიზნესომბუდსმენს, პარლამენტს... მაგრამ მხოლოდ ეკონომიკის სამინისტრო გამომეხმაურა. ფინანსთა სამინისტროშიც გაიმართა შეხვედრა, სადაც გვითხრეს, ასეთი რეჟიმი გვაწყობს, რადგან ადმინისტრირება ანუ ერთ ადგილზე ტვირთის დათვალიერება და განბაჟება მარტივიაო. ამ ლოგიკით, საბჭოთა კავშირიც აღვადგინოთ, რადგან მაშინაც ერთიანი სისტემა არსებობდა და ყველა პროცედურა მარტივი იყო...

სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, ახალი ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნების მიერ მიღებულ კორუფციულ, ვერაგულ და თაღლითურ გარიგებას თუ გააგრძელებდა.

— ამ ფარული გარიგების შეწყვეტას ფინანსთა მინისტრის განკარგულება სჭირდება?

— დიახ, მხოლოდ ამ გარიგების გაუქმებაა საჭირო. ერთადერთი გზა დამრჩა და რომელსაც აუცილებლად მივმართავ: ორ დღეში ჩემი გემი შემოვა, რომელიც მსუბუქი ავტომობილებითაა დატვირთული და ჩემს ტერმინალში გადმოვტვირთავ. მივწერ საბაჟოს, რომ მებაჟე მობრძანდეს და ტვირთი განაბაჟოს. თუ არ მოვა, ამას სასამართლოში გავასაჩივრებ, რადგან საბაჟო ტერმინალის ლიცენზიანტი ვარ და როგორც მე მაქვს სახელმწიფოს წინაშე ვალდებულება, ისევე ვალდებულია სახელმწიფო, ჩემს ტვირთს მოემსახუროს. სხვათა შორის, „აი პი ემ ტერმინალსი“ უფრო შორს წავიდა და მსუბუქი ავტომობილების გარდა, ყველა იმპორტირებული ტვირთი თავის ტერმინალში მიაქვს. ამ კომპანიასაც თავის ინტერესი აქვს — დაინახა, რომ სახელმწიფო უსუსურია და ზემოგებაზე ზრუნვა დაიწყო, მაგრამ თავმოყვარე სახელმწიფომ ეს არ უნდა დაუშვას. ამ საკითხს ორი კუთხით განვიხილავ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ამ თაღლითობით აღშფოთებულია და, როგორც დაინტერესებული პირი, რათა 20 წლის წინ შექმნილი კომპანია თავზე არ დამამხონ. ჩემს ტერმინალში 400 ადამიანია დასაქმებული და სტაბილურ ანაზღაურებას იღებს, მაგრამ ფოთის ნავსადგურში ჩემნაირი კიდევ რვა კომპანიაა, მხოლოდ ფოთში, 2 000 დასაქმებული ადამიანია, რომელიც ამ ვერაგული გადაწყვეტილების გამო, უმუშევრად რჩება, თან ყველას ბანკის კრედიტი აქვს აღებული — სტაბილური ხელფასის პირობებში, ხალხმა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაც დაიწყო, ამ თაღლითური გარიგების შედეგად კი, ყოველგვარი შემოსავლის გარეშე, ჰაერში რჩებიან. ერთადერთი ადამიანი, ვინც ეს პრობლემა დაინახა და მის მოგვარებას დაგვპირდა, ეკონომიკის მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილია. ფოთის ნავსადგურში დასაქმებულების გვერდით დგას ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეც.

— ნოდარ ხადური ამ პრობლემას ვერ ამჩნევს?

— სამწუხაროდ, ვერა.

— ეკონომიკის მინისტრმა როგორ უნდა მოაგვაროს პრობლემა, სატრანსპორტო გადაზიდვები ხომ მის უწყებაში არ შედის?

— ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფარგლებში, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს საშუალებით მოგვარდება. ვფიქრობ, ეს სააგენტო შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს...

— ბატონო ირაკლი, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო 15 აპრილს ამოქმედდება და როგორ მოასწრებს ამ გადაწყვეტილების გაუქმებას 1 მაისამდე, თან რატომ უნდა დაავალოს ამ სააგენტომ ნოდარ ხადურს იმის გაკეთება, რაც ფინანსთა მინისტრს ისედაც მარტივად შეუძლია?

— ნოდარ ხადურის იმედი აღარ მაქვს. ხომ გითხარით, ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე გვითხრეს, ერთ ადგილზე ადმინისტრირება მარტივიაო და მივხვდი, ჩვენს შორის დიდი კედელია აღმართული. სახელმწიფომ ინვესტორებს, მნიშვნელობა არ აქვს, ქართველია თუ უცხოელი, თანაბარი პირობები უნდა შეუქმნას... ხელისუფლებამ გააკეთა ტერმინალი, სადაც 400 სამუშაო ადგილი შექმნა, 2 000 ძველ თანამშრომელს კი უმუშევრად ტოვებს, ესაა ინვესტიცია? სამწუხაროდ, პარლამენტში საერთოდ არ მიაქციეს ყურადღება ამ საკითხს, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარესაც მივწერეთ და დავით უსუფაშვილსაც, მაგრამ უშედეგოდ. ერთი ტერმინალით ან „სოკარის“ სახით, გაზის ერთი მომწოდებლით, ქვეყნის ეკონომიკა წინ როგორ უნდა წავიდეს და როგორ განვითარდეს? ეს ბომბებია, რომელიც ნელ-ნელა აფეთქდება.

— „აი პი ემ ტერმინალსის“ ამ გადაწყვეტილებით, იმპორტიც გაძვირდება?

— რა თქმა უნდა! როდესაც გემი ჩვენთან შემოდიოდა, მანქანის მფლობელს 15 წუთში გაჰქონდა საკუთარი ტვირთი, მაგრამ დღეს საუკეთესო შემთხვევაში, მეოთხე დღეს თუ გამოიყვან ტერმინალიდან მანქანას. გრძელი რიგებია, თანაც განბაჟების ფასი უკვე სამჯერ გაიზარდა. კონტეინერების ნახევარზე მეტი, ფოთიდან რკინიგზის საშუალებით გადის. ჩემი ტერმინალი, ერთდროულად, 45 ვაგონს ტვირთავს, ჩემი მეზობელი — 18 ვაგონს ანუ 8 ტერმინალს, რომელიც ფოთის ნავსადგურშია, ერთდროულად, 125 ვაგონის დატვირთვა შეუძლია. „აი პი ემ ტერმინალსი“ მხოლოდ 25 ვაგონს ტვირთავს და შედეგად, სარკინიგზო გამტარუნარიანობა უკვე 5-ჯერ შემცირდა. გარდა ამისა, განბაჟების ტარიფების მიხედვით, შავ ზღვაში, ფოთის ნავსადგური ყველაზე ძვირია, ეს თაღლითობა კი ფოთის ნავსადგურს სრულიად გააქრობს!

— ამ ფონზე, პოლიტიკაში დაბრუნებაზე ხომ არ გიფიქრიათ?

— არა, თან ჩემი ადგილი პოლიტიკაში აღარ არის. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ეკონომიკის ნაწილში ბევრ შეცდომას უშვებს, ბევრი კარგი საქმეც გაკეთდა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი შექმნეს, რაც საკმაოდ ჭკვიანური გადაწყვეტილებაა, მაგრამ პარალელურად, ისიც ხდება, რაზეც უკვე გესაუბრეთ.

ქვეყნის ვალდებულებები აქტივებს 28 მილიარდი ლარით აჭარბებს

ბოლო 10 წელიწადში, წმინდა საინვესტიციო პოზიცია 5-ჯერ გაუარესდა. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციამ 16.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 101.3%-ია. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 545.6 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 167.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. 2013 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში, ოპერაციული და ფასის ცვლილებები უარყოფითი იყო, ხოლო საკურსო და სხვა ცვლილება — დადებითი. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია ქვეყნის ფინანსური აქტივების მოცულობასა და სტრუქტურას, წმინდა საინვესტიციო პოზიცია კი აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას ასახავს.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი საერთაშორისო აქტივები 6.0 მლრდ აშშ დოლარია, სადაც 46.9% სარეზერვო აქტივებს უჭირავს, 30.0% სხვა ინვესტიციებს, 22.7% პირდაპირ ინვესტიციებს საზღვარგარეთ, ხოლო 0.5% პორტფელის ინვესტიციები და ფინანსური წარმოებულებია. მთლიანი საერთაშორისო აქტივების 21.2% ნაღდი ფულისა და დეპოზიტების წილად მოდის, 6.1% სავაჭრო კრედიტებს უჭირავს, 2.5% სესხებს. წინა კვარტალთან შედარებით, სარეზერვო აქტივები 251.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება ვალდებულებებს, მეოთხე კვარტლის ბოლოს მთლიანმა ვალდებულებებმა 22.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 772.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა კვარტლის მაჩვენებელს 281.6 მლნ აშშ დოლარით აღემატება. წინა კვარტალთან შედარებით, პირდაპირი ინვესტორებისადმი ვალდებულებები 220.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, თუმცა ამავე პერიოდში, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან საკურსო ცვლილებას. შედეგად, პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში კვარტლურად 9.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და 11.7 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. პორტფელის ინვესტიციის ვალდებულებები კვარტლის განმავლობაში 147.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდის მიზეზი იყო საბანკო სექტორის მიერ, ახალი ობლიგაციების განთავსება. 2013 წლის დეკემბრის ბოლოს, პორტფელის ინვესტიციების ვალდებულებებში 543.0 მლნ აშშ დოლარი — სამთავრობო ევრობონდებია, 571.5 მლნ აშშ დოლარი — „საქართველოს რკინიგზის“ ობლიგაციები, ხოლო 262.0 მლნ აშშ დოლარი — „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ევროობლიგაციები. აქ ასევე შედის სახაზინო ვალდებულებები და სახელმწიფო ობლიგაციები, რომელსაც ფლობენ არარეზიდენტები, სულ — 15.9 მლნ აშშ დოლარი. 2013 წლის დეკემბრის ბოლოს, ეროვნული ბანკის სხვა გრძელვადიანმა ვალდებულებებმა 221.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

BPI

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი ევროპაში საუკეთესოა

დავით აღმაშენებელის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, ევროპის მასშტაბით (4 მილიონზე ნაკლებ მგზავრთა კატეგორიაში), აეროპორტის მარკეტინგისა და ავიაკომპანიებთან მუშაობის მიმართულებით, 6 საუკეთესო აეროპორტს შორის დასახელდა და Excellence in Airport Marketing, ანუ აეროპორტის საუკეთესო მარკეტინგის სიგელი გადაეცა.

გაერთიანებული აეროპორტების ინფორმაციით, საუკეთესო აეროპორტების შერჩევა, ბოლო 12 თვის განმავლობაში, აეროპორტების მიერ განხორციელებული მარკეტინგული საქმიანობის ეფექტურობისა და ახალი ავიამიმართულების დამატების გათვალისწინებით ხდება. შერჩევის პროცესში მონაწილეობენ ავიაკომპანიები, ავიაციის სფეროს ექსპერტები და ავიამიმართულების განვითარების სპეციალისტები. ოფიციალური ღონისძიება ავიამიმართულების განვითარების ევროპულ ფორუმზე — Routes Europe 2014, ქალაქ მარსელში, 6-8 აპრილს გაიმართა.

BPI

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა დაამატა

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა კიდევ ერთი ახალი საბაკალავრო პროგრამა დაიმატა. როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ სასწავლებლის რექტორმა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა სოლომონ პავლიაშვილმა განუცხადა, 8 აპრილს, განათლების განვითარების ხარისხის ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ უნივერსიტეტის აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია ერთხმად მიანიჭა.

„პროგრამა თანამედროვე სტანდარტებითაა შემუშავებული და მთავრობის აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებიდან გამომდინარეობს. დღეს აგროინჟინერიის სპეციალისტების დეფიციტია და მიმაჩნია, რომ კერძო უნივერსიტეტის მიერ ამ პროგრამის შემუშავება ნამდვილად პატრიოტული საქმეა. ამიერიდან, თბილისის უნივერსიტეტი მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ჰიდრომელიორაციის სპეციალისტებს მოამზადებს, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ნამდვილად სჭირდება“, — აცხადებს სოლომონ პავლიაშვილი.

პავლიაშვილის თქმითვე, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა გერმანიის ეიხშტატის უნივერსიტეტთან მემორანდუმი გააფორმა, რომელიც ერთობლივ სამეცნიერო კვლევებსა და საგრანტო პროგრამებში მონაწილეობას, სტუდენტების გაცვლას, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამებზე, აკადემიური პერსონალის ერთობლივ ტრენინგებს ითვალისწინებს.

„ეს მემორანდუმი თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კიდევ ერთი აღიარებაა. აღსანიშნავია, რომ მემორანდუმზე მუშაობა თითქმის ერთი წელი მიმდინარეობდა“, — აცხადებს სოლომონ პავლიაშვილი.

25-27 აპრილს, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს პოლონეთის უნივერსიტეტის — Warsaw University of Life Sciences – SGGW დელეგაცია ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ერთობლივი აგრარული პროგრამების განხორციელებასა და სრულყოფას შეეხება. მაისში კი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დელეგაცია საპასუხო ვიზიტით პოლონეთს ეწვევა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ნოდარ ჯავახიშვილი „ქართუს“ შესაძლო გაყიდვას აღასტურებს

ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, 9 აპრილს შეხვდა ბანკის დამფუძნებელს, სადაც შეთანხმდნენ, რომ შესაძლოა, საფინანსო ინსტიტუტი გაიყიდოს.

„მას შემდეგ, რაც საკმაოდ აჟიტირებულ თემად იქცა ამაზე საუბარი, მით უმეტეს, თანაინვესტირების ფონდის განცხადების შემდეგ, რომ ბანკმა დაკარგა შესაძლო საინვესტიციო აქტუალობა, მქონდა საუბარი დამფუძნებელთან და მივედით ერთობლივ დასკვნამდე — თუკი იქნება ასეთი სერიოზული საინვესტიციო ფონდები და ცენტრი, ამ თვალსაზრისით, ბანკი „ქართუს“ აქტუალობა დამფუძნებლისთვის მეორე პლანზე გადადის. შევთანხმდით, რომ შეიძლება, ეს ბანკი გაიყიდოს, თუ მსურველი გამოჩნდება“, — აღნიშნა ჯავახიშვილმა.

ამასთან, არსებობს ინფორმაცია, რომ ბანკის ყიდვით დაინტერესებულნი არიან ებრაული და თურქული ჯგუფები. ებრაულ ჯგუფთან მოლაპარაკებები უკვე გაიმართა.

სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკი „როსიისკი კრედიტი-ქართუ“ 1996 წელს დაფუძნდა, 1998 წელს კი მას „ბანკი ქართუ“ დაერქვა. ამჟამად, ბანკის მფლობელი ბიძინა ივანიშვილის ვაჟი უტა ივანიშვილია, რომელიც ბანკის 100%-იან წილს ფლობს.

„ინტერპრესნიუსი“

განათლების მინისტრი მოქმედი მთავრობის დისკრედიტაციაშია ეჭვმიტანილი

რა პრეტენზიები აქვთ არასამთავრობოებს თამარ სანიკიძესთან

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ განათლების მინისტრ თამარ სანიკიძეს მიმართავს და სისტემაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად სწრაფი რეაგირებისკენ მოუწოდებს. ამასთან, ორგანიზაცია ითხოვს, უახლოეს პერიოდში მოეწყოს შეხვედრა საშუალო და სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებთან და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტული გეგმა დაისახოს. სხვათა შორის, განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე „ყველა თაობა საქართველოსთვის“ ცენტრალურ ოფისში პედაგოგებსა და საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთი შეხვედრა უკვე გაიმართა.

„შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა განათლების სფეროში, ბოლო 9 წლის განმავლობაში შექმნილი სისტემური პრობლემები; მაგალითად, ის, რომ საჯარო სკოლების არასწორი ოპტიმიზაციის შედეგად, საკლასო ოთახებში, უმეტეს შემთხვევაში, მოსწავლეთა რაოდენობა 35-40-მდე ბავშვამდე გაიზარდა, რაც სწავლების ხარისხზე, ცალსახად, უარყოფითად აისახება. წლების განმავლობაში, სკოლების სპორტული დარბაზებით უზრუნველყოფა და სწორი აღმზრდელობითი სტრუქტურის დანერგვა ვერ მოხერხდა, მასწავლებელთა საატესტაციო მასობრივმა გამოცდებმა კი ნათელყო, რომ პედაგოგების უმეტესობას სათანადო კვალიფიკაცია არ აქვს“, — განაცხადეს შეხვედრაზე.

განათლების სფეროში არსებულ მძიმე ვითარებაზე ნათლად მეტყველებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებიც, რომელთა თანახმადაც, საქართველოს, განათლების კუთხით, მსოფლიოში ბოლო პოზიცია უკავია:

„სამწუხაროდ, განათლების სამინისტრო დღესაც „წარმატებით“ განაგრძობს ბოლო 9 წლის განმავლობაში დანერგილ პოლიტიკას. სამწუხაროა, რომ აღნიშნულ სისტემურ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, განათლების სამინისტრო არაეფექტურია. მივმართავთ მინისტრ თამარ სანიკიძეს, ზემოხსენებულ პრობლემებთან დაკავშირებით, მოახდინოს სწრაფი რეაგირება და უახლოეს პერიოდში მოეწყოს საზოგადოებრივი შეხვედრა საშუალო და სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტების მონაწილეობით, დაისახოს პრობლემის აღმოფხვრისა თუ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტული გეგმა“, — განაცხადეს შეხვედრის მონაწილეებმა.

„ვერსიასთან“ საუბრისას, არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი **ანა ლობჟანიძე** ამბობს, რომ სისტემური პრობლემების ამდენი ხნის განმავლობაში აღმოუფხვრელობა მინისტრის კომპეტენტურობას ეჭვქვეშ აყენებს. მისივე თქმით, საუბარია როგორც ბაღებში, ასევე სკოლებში არსებულ მდგომარეობაზე:

„გვაინტერესებს, რის საფუძველზე გაათავისუფლეს მასწავლებლები სამსახურიდან, თუნდაც 53-ე სკოლის ბოლო მაგალითი ავიღოთ. აღმაშფოთებელია, როცა მოსწავლეები, ერთი კვირის განმავლობაში, გაფიცულები არიან და ამომწურავი პასუხი არ აქვთ, რატომ გაათავისუფლეს დირექტორი? რატომ არ სცემს ამაზე პასუხს მინისტრი სანიკიძე. განათლების სამინისტროსგან მოვისმინეთ, რომ გაფიცვა დაუშვებელია და სკოლაში სწავლა უნდა განახლდეს, მაგრამ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების კონკრეტულ საფუძველს არ ასახელებენ. ფაქტია, მასწავლებლები და მოსწავლეები დირექტორის დაბრუნებას ითხოვენ. ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ბავშვების პოლიტიზება, მაგრამ სამინისტრო ამ პრობლემაზე სათანადოდ არ რეაგირებს და რა გამოდის, მოქმედი მთავრობის დისკრედიტაციას ეწევა? ასევე, ბევრი მაგალითი გვაქვს საბავშვო ბაღების სისტემაში არსებულ დარღვევებზე, ადრე არაერთი ბაღი „საკვებ ობიექტად“ გადააქციეს, რაც დღემდე გამოუძიებელია. გვესმის, რომ ეს უფრო მერიის კომპეტენციაა, მაგრამ განათლებას ეხება და სამინისტრო რატომ არ ერევა, მერიას შესაბამის საბუთებს რატომ არ სთხოვს, ეს ფაქტები გამოიძიონ და გაასაჯაროონ? საზოგადოებაში ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა. მსგავსი ვითარება სწორედ მინისტრისა და უწყებაში მომუშავე თანამდებობის პირების არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს“.

„ყველა თაობა საქართველოსთვის“ განათლების სისტემის მონიტორინგს განაგრძობს და შესაბამისი რეაგირების არარსებობის შემთხვევაში, მინისტრ თამარ სანიკიძის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს.

ვერსიანიუსი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ვახტანგ ბ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ვახტანგ ბ-ს პირადი ჩხრეკისას ამოიღეს: 28 აბი მოვარდისფრო, კუსტარული წესით დამზადებული 7,5 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,0683 გრ მეტამფეტამინსა და 0,4037 გრ ამფეტამინს შეიცავს; 20 აბი მოთეთრო, კუსტარულად დამზადებული 5,24 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,515 გრ ამფეტამინს შეიცავს; 46 აბი ლურჯი ფერის, კუსტარული წესით დამზადებული 11,23 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 3,0147 გრ ემ-დი-ემ-ეის – ე.წ. ექსტაზს შეიცავს; ასევე ამოღებულია 3,03 გრ გამომშრალი მარიხუანა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვახტანგ ბ-მ თურქეთში უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალებები, რომელიც უკანონოდ შეინახა, შემდეგ კი თურქეთიდან საქართველოში თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით უკანონოდ შემოიტანა.

გამოძიება დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 262-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით და 260-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით, რაც თავისუფლების უვადო აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

„დუშეთის გამგეობამ ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა, მინდა, ამის შესახებ მთელმა საქართველომ შეიტყოს“

ეროსუდან შელია
557-100-768

2013 წლის 16 დეკემბერს, ღამით ამოვარდნილმა ქარმა, ბაზალეთის ტერიტორიულ ორგანოში შემავალი სოფლების მაცხოვრებლები დააზარალა. სტიქიამ 13 შენობის სახურავი იმდენად დააზიანა, თითოეული სრულ რეაბილიტაციას სასწრაფოდ საჭიროებდა. სტიქიის მეორე დღესვე, შემთხვევის ადგილი დუშეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ერეკლე ტრიპოლსკიმ, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი სოლომონიამ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა და ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ზაქარია ხეხელაშვილმა დაათვალიერეს და დაზარალებულ ოჯახებს დახმარებასაც დაპირდნენ.

იანვარში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად 127 100 ლარი გამოიყო, საიდანაც სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში, ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ყარსიმაანთ დასახლებაში მცხოვრები ლალი კასრაძის საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია მოხერხდა. ამასთან, სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი კორპუსის ნაწილი, სოფელ მლაშის ტერიტორიაზე მდებარე სასათბურე მეურნეობის საცხოვრებელი კორპუსი, სოფელ ჩრდილელიანთ დასახლებაში მცხოვრები მოქალაქე აკაკი და ნიკოლოზ სონიშვილებისა და სოფელ საკრამულის მკვიდრი გივი ხისრუაშვილის საცხოვრებელი სახლები შეკეთდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ჩანადირებში მცხოვრებ მურთაზ ბოდაველის, ლამარა ჭინჭარაშვილის, სოფელ ბაგის მკვიდრი ოთარ კედელაშვილის, ალბერტ ჩოხელის, სოფელ ჩუბინიაანთ დასახლებაში მცხოვრებ ნუგზარ არაჩაშვილის და სოფელ ჭილურტში დავით ფეიქრიშვილის საცხოვრებელ სახლებს.

„ვერსია“ სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს ესაუბრა:

ლალი კასრაძე, ყარსიმაანთკარის მკვიდრი: **„ძლიერი ქარი იყო, სახურავიდან სამშენებლო მასალა პირდაპირ საძინებელში ჩამოცვივდა. საბედნიეროდ, ბავშვები სახლიდან სტიქიის ამოვარდნისთანავე გავიყვანე. მოგვიანებით, დუშეთის გამგეობას დავუკავშირდი, ბატონი ვაჟა ჩოხელი კი ჩვენი პრობლემით მაშინვე დაინტერესდა. დეპუტატი ირაკლი ტრიპოლსკიც მეორე დღესვე ჩამობრძანდა და შესაბამის დახმარებასაც შემპირდა. მართლაც, ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც მითხრეს, ბოლომდე გვერდში დამიდგნენ, რაც ჩემთვის მართლაც მოულოდნელი იყო. ღმერთმა ქნას, მოსახლეობას მთავრობისგან ყოველთვის მსგავსი მხარდაჭერა ჰქონდეს“.**

ქეთევან სონიშვილი, სოფელ ჩრდილელიანთკარის მკვიდრი: **„სტიქიამ ჩვენ სახლს სახურავი გადახადა, თუმცა, როგორც კი გამგეობას დახმარება ვთხოვეთ, მშენებლები შესაბამისი აღჭურვილობით, მაშინვე გამოჩნდნენ. ასე ოპერატიულად, სასწრაფო დახმარებაც კი არ მოდის ხოლმე. დაზიანებული შენობა დეპუტატმა ირაკლი ტრიპოლსკიმ და გამგებელმა ვაჟა ჩოხელმაც დაათვალიერეს. 42 წელია აქ ვცხოვრობ და ადგილობრივი მთავრობისგან მსგავსი თანადგომა არასოდეს მახსოვს. ამ ადამიანებმა ისეთი გულისხმიერება გამოიჩინეს, მინდა, ამის შესახებ მთელმა საქართველომ შეიტყოს. ჩვენი ოჯახის გარდა, დახმარება კიდევ არაერთ ადამიანს აღმოუჩინეს. ამის შესახებ მთელი რაიონი საუბრობს“.**

მურთაზ ბოდაველი, სოფელ ჩანადირების ადგილობრივი მკვიდრი: **„სტიქიამ მნიშვნელოვნად დაგვაზარალა, ასეთი ქარბუქი მართლაც არ მახსოვს, მაგრამ გამგეობამ შესაბამისი დახმარება გაგვიწია და მასალაც დროულად მოგვაწოდეს“.**

ალბერტ ჩოხელი, სოფელ ბაგის მკვიდრი: **„სტიქიამ სახლის სახურავი საერთოდ ჩამოანგრია. როცა რაიონის ხელმძღვანელობას ამის შესახებ შევატყობინე, ჩვენ მიმართ ყურადღება მაშინვე გამოიჩინეს. სახურავის შესაკეთებლად, ლურსმნების ჩათვლით, ყველა საჭირო მასალა მოგვაწოდეს“.**

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში, ბაზალეთის ტბაზე მდებარე სანიჩბოსნო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დასრულდა. მშენებელ **ნიკოლოზ კახნიაშვილის** განცხადებით, სტიქიის დროს, შენობის დაზიანების ძირითადი მიზეზი მისი არასწორი მონტაჟი გახდა: **„დამპალ მასალაზე სახურავი იყო გადაკრული, რამაც, ბუნებრივია, სტიქიას ვერ გაუძლო და ერთი მესამედი მნიშვნელოვნად დაზიანდა. როგორც ვიცი, დუშეთის გამგეობამ პროექტი საკმაოდ სწრაფად შეიმუშავა, ბატონი ვაჟა ჩოხელი ცენტრალურ ხელისუფლებაში თანხის ჩასარიცხად ინტენსიურად რეკავდა, ხოლო, როგორც კი გამგეობამ დადგენილება მიიღო, სარეაბილიტაციო სამუშაოებიც მაშინვე დაიწყო და საბოლოოდ, შენობამ ფუნქციონირებაც განაახლა“.**

სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პარალელურად, დუშეთის მუნიციპალიტეტში მასშტაბური პროექტებიც ხორციელდება. ქალაქ დუშეთს წლების განმავლობაში ხევის ადიდების პრობლემა აწუხებდა, თუმცა ნაპირსამაგრი სამუშაოების დაწყება მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მოხერხდა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები უკვე დასრულებულია. ქალაქ დუშეთის პირველი სკოლის ქართული ენის ფილოლოგი **ნათელა ველთაური** გვიამბობს, რომ დუშელებს სტიქიის უკვე აღარ ეშინიათ:

„ხევის ადიდება ქალაქს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა. 2005 წელს ხევი იმდენად ადიდდა, ნაპირები ჩამოშალა და ხევისპირზე მცხოვრებ მოსახლეობას სერიოზული ზიანი მიაყენა; მსხვერპლიც იყო — საკუთარ ეზოში მამაკაცი დაიხრჩო. მაშინ ჩემი ეზოს მნიშვნელოვანი ნაწილიც წყალმა წაიღო. დუშელები, ფაქტობრივად, შიშით ველოდით წვიმას, რადგან სტიქიის წინაშე აბსოლუტურად დაუცველნი ვიყავით. როგორც ვიცი, 2005 წელს ხევში ნაპირსამაგრი სამუშაოების განსახორციელებლად გეგმა შემუშავდა, მაგრამ გეგმადვე დარჩა, რადგან წინა წლებში მის განხორციელებაზე არავის უზრუნია, წელს კი ეს რეალობად იქცა. მთელი ზამთარი მშენებლები ღამის სამ საათამდე მუშაობდნენ. ამ ეტაპზე, ჯებირების ჩადგმის ძირითადი სამუშაოები დასრულებულია, ორი ხიდი კი აბსოლუტურად შეიცვალა. როცა ასეთი დიდი საქმე უმოკლეს დროში განხორციელდა, მჯერა, დუშეთის ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტებიც სრული დატვირთვით ამუშავდება. არადა, როგორც ილია წერდა, „განა იქნება ღვთისაგან და კაცისაგან ისე დავიწყებული მხარე, როგორც ეს საწყალი დუშეთია“... ჩვენი რაიონი არავის ახსოვდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისთან საკმაოდ ახლოს ვართ, მსგავსი დამოკიდებულება დუშეთს ტრადიციულად მოყვებოდა. მიხარია, რომ ბოლო წლებში ქუჩები მოწესრიგდა და რაიონიც უკეთესი გახდა. ხევის ჯებირებში ჩასმა ამ ღონისძიებების გვირგვინი იყო“.

დუშეთში მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილია ფილოლოგი **რეზო ხუსრუაშვილიც**. მისი განცხადებით, გამგეობაში, ძირითადად, მისი ყოფილი მოსწავლეები არიან დასაქმებულნი, ამიტომ მათ განსაკუთრებით გულშემატკივრობს:

„ძალიან მინდა, მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელობა ადგილობრივ მოსახლეობას უყვარდეს, რადგან მათი უმრავლესობა ჩემი ყოფილი მოსწავლეა. მინდა, მათი საქმიანობით ვამაყობდე. ამ ეტაპზე, თუ ობიექტურად შევაფასებთ, დუშეთში უამრავი კარგი საქმე გაკეთდა. ხევი დუშელებისთვის სერიოზულ პრობლემას ქმნიდა. შესაბამისად, მისი ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწესრიგება აუცილებელი იყო, რაც გაკეთდა კიდეც. შარშან დუშეთის ქუჩებიც მოასფალტდა, მათ შორის, სააკაძის ქუჩა, ბაჩანას შესახვევი, კარიაულთუბანი და მილახვრიანთკარის შიდაგზები. ამის გარდა, სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაც მოხერხდა. მოგეხსენებათ, დუშეთი მთაგორიანი ქალაქია, ამიტომ სანიაღვრე პრობლემების გადაჭრით მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა. ქალაქში გარეგანათებაც მოწესრიგდა. ასე რომ, ერთ წელიწადში უამრავი სამუშაო განხორციელდა“.

„ვერსიას“ ჟინვალის მკვიდრი **ეკატერინე უძილაურიც** ესაუბრა: **„ჩვენი გამგებელი თითოეულ მოსახლეს გვერდში უდგას, ჩვენ ჭირსა და ლხინს იზიარებს. ჟინვალში გზები იმდენად მოუწესრიგებელი იყო, გავლაც ჭირდა, მაგრამ ეს პრობლემა საკმაოდ მოკლე ხანში მოგვარდა. ადგილობრივებს წყლის პრობლემაც აღარ გვაქვს. სამუშაოები ამ მიმართულებითაც განხორციელდა. რაც მთავარია, ამბულატორიის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს და როგორც ვიცით, ფასანაურშიც, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო. იმედი გვაქვს, მოსახლეობის პრობლემებისადმი მსგავსი დამოკიდებულება მომავალშიც გაგრძელდება“.**

დაკონსერვებულ მწერებს ყიდიან

დღეისთვის ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 2 მილიონი ადამიანის რაციონში შედის ხოჭო, კალია, ჭია, მატლი, მორიელი თუ სხვა მწერი. ევროპელებისთვის ეს საკვები დიდი ხნის განმავლობაში ეგზოტიკა იყო, ვიდრე სწავლულები ერთხმად არ ალაპარაკდნენ ხორცის მწერებით ჩანაცვლებაზე. ჰოლანდიის მთავრობამ უკვე გამოყო საკმაოდ სოლიდური თანხა პროგრამისთვის, რომელმაც ევროპელების რაციონში მწერების დამკვიდრებაზე უნდა იზრუნოს. დიდ ბრიტანეთში კი ისინი უკვე დაკონსერვებულ მდგომარეობაშიც იყიდება. 25 გირვანქა სტერლინგად ნისლიან ალბიონზე შეგიძლიათ შეიძინოთ მცირე ზომის ქილა, რომელშიც კალიებია არაჟანში, ან მორიელი წყალმცენარეებით, ბამბუკის მატლები, ჭიანჭველები... ახალი პროდუქტის რეკლამირება ერთ-ერთ ბრიტანულ არხზე მოხდა, სადაც გადაცემის მონაწილეებმა ეგზოტიკური კერძები დააგემოვნეს და საკმაოდ მაღალი შეფასებაც მისცეს. ექსპერტთა მოსაზრებით, შესაძლოა, უკვე რამდენიმე წელიწადში მწერები ჩვეული პროდუქტი გახდეს „ბებერი კონტინენტის“ მაცხოვრებლებისთვისაც.



ღრუბელი-ქოლგა დაამზადეს

ჰოლანდიურ კომპანიაში Toer შექმნეს ახალი ქოლგა, რომელიც მზეში თავისით იშლება, ჰაერით იბერება და მზის სხივებისგან საიმედოდ გვიცავს. ახალ ქოლგას ღრუბლის ფორმა აქვს და წყალგაუმტარი სილიკონის ფენითაა დაფარული იმ შემთხვევისთვის, თუ ამინდი მოულოდნელად შეიცვალა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

პიტნის კევი ასუქებს

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ საღეჭ რეზინს შეუძლია ადამიანი გაასუქოს, რაც სპეციალისტთა მოსაზრებით, რეცეპტორებზე კევის ზემოქმედებას უკავშირდება. ექსპერიმენტში 44 მოხალისე მონაწილეობდა, რომელთაც ჯერ ხილის ან პიტნის საღეჭი რეზინი მისცეს, შემდეგ კი შეთავაზებული პროდუქტიდან რამე უნდა ეჭამათ. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც პიტნის კევს ღეჭავდნენ, უპირატესობა ჩიფსსა და ტკბილეულს მიანიჭეს და არა ხილს ან ბოსტნეულს. სწავლულების თქმით, მენთოლის გამო, კევი გარკვეულ რეცეპტორებზე მოქმედებს და ხილისა და სხვა პროდუქტის გემოს უსიამოვნოს ხდის, როგორც მაგალითად, კბილების გახეხვის შემდეგ ფორთოხლის წვენი. ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ პიტნის საღეჭი რეზინის მოყვარულები, შედეგად, ნაკლებ საკვებს იღებენ, მაგრამ ეს მიღებული კალორიების რაოდენობას არ ამცირებს.

ყველაზე ბინძური ჩინური ფულია

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა იან ტომპსონმა სპეციალური გამოკვლევა ჩაატარა იმის გასარკვევად, ფულის სხვადასხვა ერთეულზე სად უფრო მეტი ბაქტერიაა და მსოფლიოს თითქმის ყველა ბანკნოტი გამოიკვლია. შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე ბინძური ფული ჩინური იუანია, ევროპაში კი ბაქტერიებით ყველაზე დაბინძურებული დანიური ქაღალდის კუპიურები და მონეტები აღმოჩნდა. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ დანიურ კრონზე 42 ათასი მიკროორგანიზმი ბუდობს, როგორც უცხოური მედია იუწყება, ცოტა ხნის წინ დანიური ბანკნოტები სპეციალური საფარით დაიფარა, რაც მის ჰიგიენას უზრუნველყოფს. „ჭუჭყიანი ფულის“ ერთგვარ რეიტინგში მეორე ადგილზე შვედეთი გავიდა. ევროზე ბაქტერიების რაოდენობა 11 ათასს აღწევს, ხოლო ბრიტანულ გირვანქა სტერლინგზე 18 200 მიკროორგანიზმია.

ყველაზე ჭკვიანი ერი მსოფლიოში

ამა თუ იმ ხალხის გენიალობის უნივერსალურ ინდიკატორად დღეს შეიძლება ნობელის პრემიის ლაურეატთა რაოდენობა დასახელდეს. მსოფლიოში ამჟამად 876 ნობელიანტია და ეს საშუალებას იძლევა, გავიგოთ, როგორაა წარმოდგენილი ესა თუ ის ქვეყანა მსოფლიოს ინტელექტუალურ არენაზე.

მაშ ასე: ბოლოდან პირველ ადგილზე იტალიაა 20 ნობელიანტით. მიქელენაჯელო, გალილეი, მაკიაველი, ლეონარდო და ვინჩი... ადრეულ პერიოდში ცხოვრობდნენ და შესაბამისად, ვერც ნობელის პრემიის ლაურეატები გახდებოდნენ, თუმცა აპენინელებმა მაინც მოახერხეს გარკვეული აღმოჩენების გაკეთება სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში.

ავსტრია — 21 ნობელიანტით, რეიტინგში მეცხრე ადგილს იკავებს, მაგრამ, თუ პრემიის მფლობელებს მოსახლეობის რაოდენობაზე გადავანაწილებთ, მაშინ ეს ალპური ქვეყანა უკვე მეშვიდე პოზიციაზე გადავა.

კანადაში 22 ნობელიანტია და ამ ქვეყანას შეგვიძლია მადლობაც გადავუხადოთ ფრედერიკ ბანტინგისთვის, რომელმაც 1921 წელს ინსულინი აღმოაჩინა. ყველაზე მეტი ჯილდო კი კანადელებმა ქიმიაში მიღწეული წარმატებებისთვის მიიღეს.

სიის მეშვიდე საფეხურს იკავებს რუსეთი 23 ნობელიანტით. მათ წარმატებას მიაღწიეს კვანტურ ელექტრონიკაში, ელექტრომაგნიტურ გამოსხივებაში, ნახევარგამტარებში და სხვ.

შვეიცარიელებს რუსებზე მეტი — 25 ლაურეატი ჰყავთ. „ერთ სულ მოსახლეზე“ მაჩვენებლით კი ის 5-ჯერ ჯობნის ისეთ დიდ ქვეყნებს, როგორიცაა კანადა და 15-ჯერ — რუსეთს. მათ შორისაა ალბერტ აინშტაინიც, რომელიც მართალია გერმანიაში დაიბადა, მაგრამ კვლევების უმნიშვნელოვანესი ნაწილი შვეიცარიაში ჩაატარა.

შვედეთში — ალფრედ ნობელის მშობლიურ ქვეყანაში, სადაც ასევე მდებარეობს შვედეთის სამეფო აკადემიის შტაბ-ბინაც, 29 ნობელიანტი ცხოვრობს და გასაკვირიც არ არის, რომ ეს ქვეყანა პირველ ხუთეულში მოხვდა.

საფრანგეთს შეუძლია 59 ლაურეატით მოიწონოს თავი — ის ტრადიციულად, ერთ-ერთი ლიდერია ხელოვნებაში, ფილოსოფიასა და ლიტერატურაში.



გერმანიას მასზე თითქმის ორჯერ მეტი — 104 ნობელიანტი ჰყავს. აქაურ სწავლულებს სხვადასხვა სფეროში აქვთ პრემია მიღებული, მაგალითად, 1918 წელს მაქს პლანკმა ჯილდო დაიმსახურა კვანტური თეორიისთვის, ვერნერ გეიზენბერგმა კი — კვანტური მექანიკის შექმნისთვის.

ნისლიან ალბიონზე 121 ადამიანია, რომელმაც ეს უდიდესი ჯილდო დაიმსახურა. ბრიტანელი მეცნიერები, პრემიის დაარსების დღიდან, თითქმის ყოველ წელს ხდებიან ლაურეატები.

ნობელიანტთა რაოდენობით რეიტინგის უპირობო ლიდერი ამერიკის შეერთებული შტატებია. მათი რიცხვი აქ 356-ს შეადგენს, პრემიის ისტორიის განმავლობაში, იმ მეცნიერთაგან, ვისაც კი ეს ჯილდო დაუმსახურებია, მესამედი სწორედ ამ ქვეყნის წარმომადგენელი იყო. ერთ სულ მოსახლეზე რაოდენობითაც აშშ-მ უკან ჩამოიტოვა ყველა დანარჩენი ქვეყანა, მათ შორის მთლიანად ევროკავშირი.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ყველაზე მიმზიდველი ქალაქი ცაბრისტებისთვის

ასეთ ადგილად რესპონდენტებმა, რომლებიც კომპანია Travellers Choice Destinations-ის დაკვეთით გამოკითხეს, თურქეთის უდიდესი ქალაქი სტამბოლი დაასახელეს — აქ დროის გატარება რესპონდენტებს ნიუ-იორკზე, რომზე, პრაღასა და პარიზზე მეტად სურთ. მილიონობით ადამიანი, რომელიც არდადეგების გატარებას უცხოეთში გეგმავს, 10 ქალაქს შორის სწორედ სტამბოლს ირჩევს. ლიდერთა სამეულში მოხვდა რომი და ლონდონი, სამოგზაუროდ საუკეთესო ქალაქების ტოპ-ათეულში შევიდა ასევე პეკინი, პრაღა, მარაკეში (მაროკო), პარიზი, ჰანოი (ვიეტნამი), სიემრეაპი (კამბოჯა) და შანხაი.

სუდოკუ ყველა ფერი

ადვილი

		7		1				
	3	2					7	
				6			4	
	2		9			6		
	5	6	3		1	8	2	
		4			6		1	
	8			3				
	4					9	3	
				7		4		

სტანდარტი

		2			8	6		
	8				9			1
	3				2			5
9				5			1	
5								6
	7			1				2
4			7				9	
3			6				2	
		5	3			1		

რთული

	9		4	7	6			
7				2				
	3				5			2
		7		4			8	9
8								7
1	2			3		6		
5			2				3	
				5				1
			9	1	3		4	

ექსპერტი

8			6					2
	6	5				4		
				9	7			
	9				5	3		7
		3				5		
2		7	4				1	
			5	3				
		9				1	4	
3					9			5

კვების იდეალური სქემა შეადგინეს

გამოკვლევით, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩატარდა, დადგინდა, რომ წონაში მოკლებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ დიეტის, არამედ კვების რეჟიმის მკაცრი დაცვაც. სპეციალიატების თქმით, გახდომის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია არა ის, რამდენს მიირთმევთ, არამედ — როდის მიირთმევთ. სწავლულები ასეთ სქემას გვთავაზობენ: საუზმისთვის იდეალური დროა — 7:11, სადილისთვის — 12:38, ვახშმისთვის — 18:14. თუკი დილით შედარებით გვიან გაიღვიძეთ ან გსურთ, ლანჩი მიირთვათ, სჯობს, ეს დაბალკალორიული პროდუქტით გააკეთოთ, რომელიც ცხიმის მინიმალურ რაოდენობას შეიცავს. უნდა გახსოვდეთ, რომ საუზმე საკვების მიღების ძირითადი დროა და მასზე უნდა მოდიოდეს მაქსიმალური ენერგეტიკული ღირებულებები. თუ ადამიანი არ საუზმობს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად წააწყდება ჯანმრთელობის პრობლემებს. მეცნიერებმა გამოკითხვა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც, რესპონდენტების 84% მიიჩნევს, რომ რეჟიმის დაცვა განსაკუთრებით აუცილებელია გახდომისთვის. უმრავლესობა დაეთანხმა აზრს, რომ წონის მოკლებისთვის ადრე ვახშმობა და შვიდი საათის შემდეგ საკვებზე უარის თქმაა აუცილებელი, გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა კი აღიარა, რომ მავნე პროდუქტისკენ გული განსაკუთრებით საღამოს მიუწევთ, მით უმეტეს, თუ ტელევიზორს უყურებენ ან წვეულებაზე არიან.

ვეგანური დიეტა ონკოდაავადებისგან გვიცავს

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ონკოლოგიურ დაავადებათა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ ვეგანებს აქვთ — მათ ორგანიზმში ავთვისებიანი სიმსივნური უჯრედების წარმოქმნის ალბათობა ძალიან მცირეა. საქმე ისაა, რომ მსგავსი დიეტის გავლენით, დაახლოებით 500 გენი ისე იცვლება, მავნე გენებს, რომლებიც სხვადასხვა დაავადებაზეა პასუხისმგებელი, თიშავს, სასარგებლოები კი (მაგალითად, იმუნიტეტზე პასუხისმგებელი), პირიქით, აქტიურდებიან. ვეგანობა — ცხოვრების მკაცრად ვეგეტარიანული წესია. ვეგანები გამორიცხავენ ცხოველური წარმოშობის ყოველგვარ პროდუქტს.

ასპირინი დაფეხმძიმეჭაში ეხმარება?

ამერიკელმა სპეციალისტებმა ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტიდან დაამტკიცეს, რომ ასპირინის მცირე დოზა ზრდის ჩასახვის ალბათობას, თუმცა იმავდროულად, ეს პრეპარატი არ აქვეითებს მუცლის მოშლის რისკს. მედიკოსები ხშირად უწერენ ასპირინს იმ მანდილოსნებს, რომელთაც ნაყოფი დაკარგეს ან მკვდარი ბავშვი გააჩინეს და სურთ, ხელახლა დაფეხმძიმდნენ. ამერიკელმა სწავლულებმა ცდებისას, რომელშიც სუსტი სქესის 1000-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა, ასპირინი და პლაცებო გამოიყენეს. ქალებს ექვსი თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ, ყველა მათგანი დაფეხმძიმებას ცდილობდა. ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით კი ასეთი დასკვნა დაიდო: ორივე ჯგუფში მუცლის მოწყვეტის მაჩვენებლებში განსხვავება არ იყო, მაგრამ თუ ამის შემდეგ ქალი ყოველდღე ასპირინის თითო აბს იღებდა, მას კვლავ ჰქონდა დაორსულებისა და ჯანმრთელი ბავშვის გაჩენის შანსი. ამ ქალების ჯგუფში მონაწილეთა 78%, ექსპერიმენტისას, კვლავ დაორსულდა. ჯგუფში კი, სადაც პლაცებოს სვამდნენ, ასეთი ქალების რიცხვი 66%-ს შეადგენდა. პირველი ჯგუფიდან 62%-მა გააჩინა ჯანმრთელი ბავშვი, მეორედან კი — 53%-მა. როგორც მედიკოსები ამბობენ, ასპირინის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ საშვილოსნოსთვის სისხლის მიწოდებას აძლიერებს.

„ჭკვიანი“ პლასტირი გამოიგონეს

სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა, ამერიკელ კოლეგებთან ერთად, „ჭკვიანი“ პლასტირი შექმნეს, რომელიც შეიცავს აუცილებელ წამალს საჭირო დოზირებით და შეუძლია, თვალ-ყური მიადევნოს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას; მეტიც, თუ აღმოაჩინა, რომ ამა თუ იმ პრეპარატის რაოდენობა ორგანიზმში ნორმას აჭარბებს, პლასტირი მაშინვე შეწყვეტს მის შეყვანას. მოწყობილობა 5-სანტიმეტრამდეა სიგრძეში, 2 სანტიმეტრი სიგანეში და 0,03 მილიმეტრი სისქის, კონსტრუქციის საფუძველი კაჟის დიოქსიდის ნანონაწილაკებია, რომელსაც სხეულის კუნთებზე რეაგირება შეუძლია. სეულელი სწავლულები იმედოვნებენ, რომ გამოგონება საკმაოდ მოთხოვნადი იქნება პაციენტებში, რომელთაც რეგულარულად სჭირდებათ სამკურნალო პრეპარატები, პერსპექტივაში კი მეცნიერები აპირებენ, პლასტირი უსადენო კავშირის ფუნქციითაც აღჭურვონ, რაც შორ მანძილზე მონიტორინგისა და მკურნალობის პროცესის რეგულირების საშუალებას მისცემს. ვარაუდობენ, რომ ასეთი პლასტირი ბაზარზე დაახლოებით ხუთ წელიწადში გამოჩნდება.

წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	8	9	1	6	5	4	3	2
6	5	3	4	8	2	7	9	1
2	4	1	3	9	7	8	6	5
8	1	7	2	5	6	3	4	9
5	9	6	8	3	4	2	1	7
4	3	2	9	7	1	6	5	8
3	2	8	5	4	9	1	7	6
1	7	5	6	2	3	9	8	4
9	6	4	7	1	8	5	2	3

სტანდარტი

6	7	5	4	2	1	3	9	8
9	4	3	6	8	7	5	2	1
1	2	8	9	5	3	7	4	6
2	3	1	8	6	9	4	7	5
8	6	4	7	3	5	2	1	9
5	9	7	2	1	4	8	6	3
3	8	6	1	4	2	9	5	7
7	1	2	5	9	8	6	3	4
4	5	9	3	7	6	1	8	2

რთული

2	1	8	9	6	7	5	4	3
7	3	6	4	5	2	9	1	8
4	5	9	3	1	8	2	7	6
8	9	7	1	4	3	6	5	2
1	2	5	8	9	6	7	3	4
3	6	4	7	2	5	1	8	9
9	8	3	2	7	1	4	6	5
5	7	2	6	8	4	3	9	1
6	4	1	5	3	9	8	2	7

ექსპერტი

1	6	4	8	9	5	3	7	2
8	3	2	7	1	4	6	5	9
7	5	9	6	3	2	1	8	4
9	8	7	5	6	3	4	2	1
5	4	6	2	7	1	9	3	8
3	2	1	4	8	9	7	6	5
2	1	3	9	5	6	8	4	7
4	9	8	3	2	7	5	1	6
6	7	5	1	4	8	2	9	3

ფოლიუმის მჟავიან პურს გაყიდიან

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება აპირებს, პურის მწარმოებლები დაავალდებულოს, ფქვილში ფოლიუმის მჟავა დაუმატონ, რათა ამ გზით შეამცირონ ხერხემლის დეფექტით დაბადებული ბავშვების რაოდენობა. ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა შესაბამისი განკარგულება მას შემდეგ გამოსცა, რაც ნისლიან ალბიონზე კვებასთან დაკავშირებული გამოკითხვის შედეგები გაირკვა. ფოლიუმის მჟავას შემადგენელი „ბე-9“-ვიტამინია და თუ ის პურში აუცილებელი ინგრედიენტი გახდება, პრობლემა წელიწადში დაახლოებით 300 ბავშვისთვის ადვილად მოგვარდება — სწორედ ამდენი ახალშობილი ჩნდება ყოველწლიურად დიდ ბრიტანეთში ხერხემლის თანდაყოლილი დეფექტით. ფქვილისა და პურის ფოლიუმის მჟავით გამდიდრების საკითხი კარგა ხანია განიხილება ნისლიან ალბიონზე და როგორც ჩანს, მეცნიერთა თუ დიეტოლოგთა ზეწოლამ შედეგი გამოიღო. ექსპერტები ამბობენ, რომ ამ დანამატით გამდიდრებული ფქვილი და პური ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

1.მდინარე ქალაქ ცაგერში
2. მეუღლის მოტყუება, ღალატი
3. ციტ-რუსის დაშაქრული ქერქი
4.ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
5. გემის ან თვით-მფრინავის ფანჯარა
6. თაგვის ნაშიერი
7. ზედ-პირულად განათლებუ-ლი ადამიანი
8.დასვენება პარას. საღ. ორშაბათ დილამდე
9. ადამიანის პარაზიტი მწერი
10. დეფექტების შესწორება ფოტოფირზე
11. ჩან-თოსანი ცხოველი
12. ბასკერ-ტერორისტ. ორგა-ნიზაცია
13. ქსე-ნოფონტეს თხზულება
14.ათენის საფეხბურ-თო კლუბი
15. ებრაელის ბიბლიური სახელწოდ.
16.რეკლა-მირებული კბილის პასტა
17.ძაღლი „ბურატინოს თავგადა-სავალში“
18. ზევსის მკვებავი თხა
19. პატარა ნაკადული
20. ბერძნი მულტიმი-ლიონერი
21.მაღალი ხე პირა-მიდული ვარჯით
22. რუსი ჰოკეისტი, მეკარე
23.ინერტ. აირი
24.ვერდის ოპერა
25. 1000 კგ
26. „ციური“ ყვავილი
27. თურქეთის დედაქალაქი
28. სომხეთის ფულის ერთეული
29. ვიოლი-ნოს მსგავსი საკრავი
30.კომპიუ-ტერული ინ-ფორმაციის ერთეული
31. შექსპირის ჯულიეტას გვარი
32. გოლიათი თუთიყუში
33. იაპონელთა ეროვნული სასმელი
34. ყურძ-ნის ჯიში
35.სამხრეთ ამერიკული მტაცებელი თევზი
36. ინგლისური საბალო ცეკვა
37.(ლათ.) გამარჯობა!
38.საქართ. ქალი მეფე
39.უალ-კოჰოლო გაზიანი სასმელი
40. იაზონის ხომალდი
41. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
42. პატარა საწნახელი
43. ბრიტანელი სიულ-მომღერალი
44.ბაგრატ IV-ის II ცოლი
45. მომკილი თავთავის კონა
46.ფეოდ. სახელმწ. ჩრდ. ოსეთის ტერიტორ.
47. ძროხის ნობათი
48. საგანთა ნუსხა
49. გაზაფ-ხულის ყვავილი
50. ჭადრა-კის ფიგურა
51.მსახიობ ბერიმორის სახელი
52. აშშ-ის შტატი
53. შხამიანი გომბეშო
54.გადა-შენებული მორბენალი ფრინველი
55.იაპონ. სპორტულ-ლოგიკური თამაში
56.ქართ. ანბანის V ასო
57.ძველ-რომაელთა მოსასხამი
58.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
59. ფუჭი, უშედეგო
60.წყლით გაჟღენ-თილი, ნესტიანი
61.მდინარე შვეიცარიის დედაქა-ლაქში
62. ბუმბულის ან ბეწვის წვრილი და გრძელი შარფი
63.ფრანგი პოეტი, სიმ-ბოლისტი
64. მდ. ეთიოპიაში, ცისფერი ნილოსი

უმოძრაობა ტვინის სტრუქტურას ცვლის

ნეირობიოლოგები ამტკიცებენ, რომ ფიზიკური აქტივობის არარსებობამ, შესაძლოა, ნერვული უჯრედების ფორმა შეცვალოს. ახალმა კვლევებმა აჩვენა, რომ სამი თვის განმავლობაში ცხოვრების პასიური წესი, ფიზიკური დატვირთვის გარეშე, შეიძლება გახდეს უჯრედების წანაზარდის ფორმის შეცვლის მიზეზი, რაც შედეგად არასწორ სიგნალს აწვდის ტვინს. მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას, ცხოველების ერთ ჯგუფს შეეძლო გადაადგილება, მეორე კი უმოძრაოდ რჩებოდა. სამი თვის შემდეგ სწავლულებმა თაგვების თავის ტვინის სტრუქტურა გააანალიზეს — გაჩნდა წანაზარდები და ნერვული უჯრედები ადვილად აღგზნებადი გახდა, რის გამოც ტვინს არასწორ სიგნალს უგზავნიდა და ირღვეოდა ინფორმაციის დამუშავების პროცესი.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ინსულინის პირველი აბი შექმნეს

მილიონობით ადამიანის მდგომარეობა, რომელთაც დიაბეტი სჭირთ, შესაძლოა, უახლოეს მომავალში უკეთესობისკენ შეიცვალოს — ისრაელის ორამედის კლინიკის სწავლულებმა განაცხადეს, რომ ინსულინის აბი შექმნეს, ეს იდეა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან განიხილებოდა, თუმცა ამისთვის მეცნიერებს არაერთი ბარიერის გადალახვა დასჭირდათ, მთავარი სირთულე კი ის იყო, რომ ინსულინი ისე სწრაფად იშლებოდა საჭმლის გადამამუშავებელ ტრაქტში, ორგანიზმი მის ათვისებას ვერ ასწრებდა, თუმცა ახლა ებრაელმა სპეციალისტებმა პრეპარატი ისეთ გარსში მოათავსეს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს კუჭის აგრესიულ გარემოს და მხოლოდ ნაწლავებში მოხვედრის შემდეგ იხსნება.

ატამი მკერდის კიბოს წინააღმდეგ

ამერიკელმა სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ ატმის ექსტრატი აფერხებს სიმსივნის გავრცელებას. ღრღნელებზე ექსპერიმენტისას, ცხოველებს კანქვეშ მკერდის აგრესიული კიბოს უჯრედები შეუყვანეს, შემდეგ კი ატმის ექსტრატიც მიაწოდეს. რამდენიმე კვირის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მღრღნელების ფილტვებში მარკერი-გენის აქტიურობა დაქვეითდა — ეს კი მეტასტაზირების შეფრეხებაზე მიანიშნებს. სწავლულები ამბობენ, რომ ამ მოვლენის საიდუმლო ფენოლურ ნაერთებში იმალება, რომელსაც ატამი შეიცავს. ეს ხილი, თუნდაც ორი-სამი ცალი, სპეციალისტების განცხადებით, შეიძლება თამამად ჩავრთოთ კვების ყოველდღიურ რაციონში, როგორც დამატებითი იარაღი კიბოს წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბუნებრივი ნაერთები, რომელიც სიმსივნურ უჯრედებს კლავს, არ ვნებს ჯანმრთელ უჯრედებს. მეცნიერები აცხადებენ, რომ აუცილებელია, ადამიანმა ხილი მიირთვას, რადგან მხოლოდ წვენი ასეთ შედეგს არ იძლევა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.